ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 123 (402) ოთხშაბათი, 8 ივლისი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

ჭამა ქონებაზე ჰკიდია, ქონება — მუხლჩაუხრელ შრომაზე!

მოსავალი-92



კაკაბეთის ზვრებში

საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის ოთხასივე ჰექტარ ზვრებში დაიწყო საზაფხულო სამუშაოთა კომპლექსი.

350 სრულმოსავლიან ჰექტარზე კაკაბეთელი მევენახეები აპირებენ მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 1500 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი.

სურათებზე: ვენახების დამუშავება ოქსაცილის ხსნარით; მევენახეთა ბრიგადის ხელმძღვანელი იმედა კუზანაშვილი (მარჯვნივ) მექანიზატორებთან როინ მეურმიშვილთან და თემურ კუზანაშვილთან ერთად ზვრებში.

იოსებ დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პრივატიზებულ პლანტაციებში

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბანში წარმატებით ხორციელდება რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება მიწის პრივატიზაციის შესახებ. სოფლის მშრომელები, რომლებსაც ახლა საკუთრებაში გადაეცა ჩაის პლანტაციები, გულმოდგინედ უვლიან ნარგავებს, ცდილობენ მოიწიონ მაღალი ხარისხის პროდუქცია.

შთამომავლობითი მეჩაიეების წერომელების, ონიანებისა და სხვათა ოჯახები, რომლებმაც განახორციელეს თავიანთი ნაკვეთების პრივატიზაცია, მუხლჩაუხრელად შრომობენ. ჩაის ალოობის დაწყებისთანავე პლანტაციებში გავიდა ოჯახების ყველა უფროსი წევრი. თითოეული მათგანი ყოველდღიურად კრეფს 200-250 კილოგრამ ნედლეულს.

წერომელების ოჯახი 0,9 ჰექტარ ნაკვეთზე აპირებს მოკრიფოს სულ ცოტა რვა ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაი.

ასეთი ოჯახები ჩაისუბანში მრავლადაა. და თითოეულმა მათგანმა დაისახა მიზანი — მოკრიფონ მხოლოდ ხარისხოვანი პროდუქცია.

სურათებზე: ჩაის ფოთლის კრეფა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის პრივატიზებულ პლანტაციებში.

ზია სამსონიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ინებეთ ბოლნისური კარტოფილი

ბოლნისის რაიონში მასობრივად დაიწყო საადრეო კარტოფილის, კომბოსტოს და ხახვის ამოღება. მოსავალი ჩინებულია: ჰექტარზე საშუალოდ იღებენ 200 ცენტნერ „მეორე პურს“, ნავარაუდევს ბევრად გადააჭარბებს ხახვისა და კომბოსტოს მოსავალიც. პროდუქციის ხარისხიც საუკეთესოა.

სიუხვე მინდვრებში განაპირობა გლეხკაცის ალალმა შრომამ და მარჯვენამ, რადიკალურმა ეკონომიკურმა რეფორმამ. საზოგადოებრივი მეურნეობების ქვედანაყოფები სამეურნეო ანგარიშზე გადავიდნენ, განხორციელდა სრული იჯარა. გლეხკაცმა იცის, რომ საერთო დოვლათიდან დიდი წილი მისია. მაგალითად, კარტოფილი ჰექტარზე გეგმით 130 ცენტნერი უნდა მოიყვანონ, რაშიც მშრომელს ხელფასი ერიცხება, ზეგეგმითი მოსავალი კი მთლიანად შეუძლია შინ წაიღოს. არადა, ეს „ზედმეტი“ ცოტა არ გეგონოთ: მოწინავე მეიჯარეს ჰექტარზე გეგმის გადამეტებით საშუალოდ 70-100 ცენტნერი კარტოფილი გამოუდის.

მეურნეობებმა კარტოფილის უხვმოსავლიანი ჯიშები 1000 ჰექტარზე მეტ ფართობზე დათესეს. ნათესებს ხელი არ მოაკლეს, ახლაც მოსავლის უდანაკარგოდ აღებას ცდილობენ. ამ საქმეში პირველობენ არახლოს, განახლების, სარაჩლოს საზოგადოებრივი მეურნეობები.

— წელს 13-14 ათას ტონა საადრეო კარტოფილს ვაწარმოებთ, — თქვა ბოლნისის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ზაურ ერაძემ. — 11-12 ათას ტონას რესპუბლიკის მოსახლეობას მივაწვდით, 3 ათასი ტონა კი გადაიტვირთება უცხოეთში, კერძოდ, რუსეთში ბარტერული გაცვლისთვის. ყველა სავაჭრო ორგანიზაციას, მათ შორის კომერციულ მაღაზიებს, შეუძლიათ შეთანხმებულ ფასად განუსაზღვრელი ოდენობით წაიღონ კარტოფილი, ბაზართან შედარებით ის მათ ბევრად იაფი დაუჯდებათ. ოღონდ საფასური წინასწარ უნდა გადაგვიხადონ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნისიის დრო აღარ არის. შეუძლიათ ნაღდი ანგარიშსწორებაც. ასევე შეუძლიათ შეისყიდონ საადრეო კომბოსტო, ხახვი, ბალი. ეს უკანასკნელი წელს ბლომად შემოვიდა. ახლო ხანში კიტრიც საკმაოდ ექნებათ სარეალიზაციოდ მეურნეობებს.

მათ დაამარცხეს დაავადება, რომელიც ნათესებს ერთიანად ავლებდა მუსრს, ბოლნისის პამიდორი ხომ განთქმულია და წელს ამ კულტურის სანიმუშო მოსავალსაც ელიან, მაგრამ მეურნეობათა ხელმძღვანელებისაგან თითქმის ერთიდაიგივე საყვედურები, გვესმოდა:

— მინდვრებში სიუხვეა, ამბობენ ისინი, მაგრამ დახლებზე ეს არ იგრძნობა. საქმე ის გახლავთ, რომ სავაჭრო ორგანიზაციები არ არიან დაინტერესებული მოსახლეობას მიაწოდონ მეტი და ხარისხიანი პროდუქცია. ეს საწვავის უქონლობითაც არის გამოწვეული, ავტომანქანები უმოქმედოდ დგანან. მშრომელ კაცს არც იმის საშუალება აქვს, რომ ბაზარში დაჯდეს, აღარ ჩანან წინანდებურად მაღაზიების მუშაკები თბილისიდან, რუსთავიდან, ქუთაისიდან და სხვა ქალაქებიდან თუ რაიონებიდან. ამ დროს კი ჩარჩი ჩასაფრებულია, შექმნილ სიძნელეს მოხერხებულად იყენებს და ტყავს აძრობს მაშვრალ ადამიანებს.

მოდით, ნუ დავკარგავთ კარგ ტრადიციებს, თუნდაც კომუნისტური სტრუქტურების დროს იყოს იგი საფუძველჩაყრილი. იქნებ აღვადგინოთ კონვეიერი — „მინდორი-მაღაზია-მომხმარებელი“. დანაშაულია მინდვრად პროდუქციის სიუხვე იყოს, წამლები კი არ ჩანდეს. ამ დროს ბაზარსაც ცეცხლი უკიდია და იქ ქორვაჭრები დათარეშობენ. ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის შესაბამის სამსახურებს ეკუთვნით.

დავით ბიწაძე.

ნუხელ შევიტყვეთ

ჯაბა იოსელიანი: აქაურობას მაშინ დავტოვებთ, როცა ვითარებას მოვაგვარებთ

გუშინ გაცნობეთ, რომ მხედრიონის ნაწილებს, რომლებიც ქ. წალენჯიხის სკოლა-ინტერნატის შენობაში იყვნენ დაბანაკებულნი, სრულიად მოულოდნელად 6 ივლისს, დილის 5 საათზე თავს დაესხნენ ყოფილი პრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ადგილობრივი სამხედრო ფორმირებათა წევრები.

შეტაკებამ თითქმის 6 საათს გასტანა. ორივე მხრიდან დაღუპულია ოცამდე, დაჭრილია 30-მდე კაცი. ამჟამად წალენჯიხაში სიტუაციას აკონტროლებენ მხედრიონის წევრები.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯაბა იოსელიანმა აღნიშნა, რომ თავდასხმა ყოვლად მოულოდნელი იყო. თითქმის ერთი საათის განმავლობაში საპასუხო ცეცხლი არ გაგვიხსნია, მაგრამ სხვა გამოსავალი აღარ გვქონდა. დაიღუპნენ ორივე მხარის წარმომადგენლები — ქართველები, და ეს არის სწორედ ყველაზე სავალალო. ჩვენ დავტოვებთ აქაურობას, როცა ვითარებას მოვაგვარებთ. შევეცდებით ყველაფერი ვიღონოთ, რათა რაც შეიძლება მალე, ხელში ჩავიგდოთ ძმათაკვლის ორგანიზატორები.

●

ექსპრეზიდენტის მომხრეები არ ცხრებიან

7 ივლისს ხონში, ფოთში, მარტვილში, ჩხოროწყუში, აბაშაში და სამეგრელოს სხვა რაიონებში სიმშვიდე იყო, რაიმე ექსცესები არ ყოფილა. ამ დღეს ზუგდიდში შევიდნენ მხედრიონისა და შინაგანი ჯარის ნაწილები. ქალაქში შესვლისას მათ ბანდიტურად დაესხნენ თავს, რის შედეგადაც დაიღუპა ერთი და დაიჭრა შინაგანი ჯარის ორი მებრძოლი. ამჟამად ქალაქში სიმშვიდეა.

6 ივლისს შუადღისას ექსპრეზიდენტის მომხრეებმა გადათხარეს და გადაკეტეს ზუგდიდში შემავალი გზები. 7 ივლისს დილიდანვე სამართალდამცავი ორგანოების, სხვადასხვა პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები ეწევიან ახსნა-განმარტებით მუშაობას მოსახლეობაში, რათა გაიხსნას გზები და არ გართულდეს მდგომარეობა, 18 საათისათვის ზუგდიდში შემავალი გზები გაიხსნა.

იმავე დღეს ექსპრეზიდენტის მომხრეებმა ინგირ-ცაცხვისა და ინგირ-ხეთის გადასარბენზე დააზიანეს საკონტაქტო ქსელი, რითაც ჩაკეტეს რკინიგზა. საკონტაქტო ქსელი უკვე აღდგენილია, მაგრამ მატარებლების მოძრაობა ჯერჯერობით არ განახლებულა, რადგან რკინიგზის მომსახურე პერსონალის ნაწილი, რომელიც დაშინებული ჰყავთ ტერორისტებს, 7 ივლისს დილით არ გამოცხადდა სამუშაოზე. ეს საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში.

ამ დღეებში

[illegible] „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ნომერში

⊙ ობიექტურობას რატომღაც ღალატობენ. 3
⊙ ადამიანის დაქვეითებული იმუნიტეტის აღსადგენად. 3
⊙ ქართული ფეხბურთი სწორ გზაზე დგას. 4

ახლა ჩვენი მხრივ ყოველგვარი სისუსტის გამოვლენა შეფასებული იქნება როგორც ხალხის ინტერესების ღალატი

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს საგანგებო სხდომა

წალენჯიხისა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ სხვა რაიონში სიტუაციის მკვეთრი გამწვავების გამო 6 ივლისს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელზეც ინფორმაცია გააკეთა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ.

როგორც მან ბრძანა, ბოლო ხანს ჩხოროწყუში მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ რაიონი პრაქტიკულად კრიმინალური ელემენტების ხელში აღმოჩნდა. ასეთივე სიტუაცია შეიქმნა წალენჯიხაში, სადაც თავი მოიყარეს დესტრუქციული ძალების შეიარაღებულმა ბანდებმა, რომლებიც სისტემატურად აწყობდნენ დივერსიებს რკინიგზაზე და ძარცვავდნენ მოსახლეობას. გუშინ ფოთის მახლობლად ააფეთქეს რკინიგზის ხიდი, აყარეს ლიანდაგი და გადაკეტეს მოძრაობა. ამ მოქმედების მიზანი ერთია — გზა გადაუჭრან პროდუქტების მიღებას თბილისში და ამით გამოიწვიონ დესტაბილიზაცია. დამნაშავეებმა გაძარცვეს რამდენიმე მატარებელი, გაიტაცეს მეზობელი სომხეთის კუთვნილი ტვირთი. უბედურება ის არის, ხაზგასმით აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, რომ მოახერხეს ამ საქმეში მოსახლეობის ნაწილიც ჩაეთრიათ. მაგალითად, სომხეთისთვის განკუთვნილი შემადგენლობის ძარცვაში 1.500-მდე კაცი მონაწილეობდა.

შექმნილ სიტუაციაში გადაწყდა რეგიონში გაეგზავნათ დამნაშავეობასთან ბრძოლისთვის საჭირო ძალები სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ჯაბა იოსელიანის ხელმძღვანელობით. შესაბამის ღონისძიებათა შემდეგ ჩხოროწყუში წესრიგი აღდგა. შემდეგ მართლწესრიგის დაცვის ძალებმა გადაინაცვლეს წალენჯიხაში, სადაც აგრეთვე მოქმედებენ შეიარაღებული ბანდები. ჩვენ უკვე გვქონდა ცნობები, რომ აქ ჯგუფი ქობალიას მეთაურობით ემზადებოდა შეიარაღებული გამოსვლისთვის. განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებანი, მაგრამ დამნაშავეებმა შეძლეს ღამით გაეფუჭებინათ კავშირგაბმულობის საშუალებანი, ხოლო 6 ივლისს გარიჟრაჟისას იერიში მიიტანეს სკოლა-ინტერნატის შენობაში განლაგებულ „მხედრიონის“ ქვეგანაყოფზე. ეს ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბანდიტებით ალყაშემორტყმულმა რაზმმა რაციით ითხოვა დახმარება, რომელიც მაშინვე გაიგზა-

(დასასრული მე-2 გვ.).

ჩვენი უმაღლესი დონის შეხვედრა შეიძლება თანამშრომლობის ახალი დიპლომატიის დასაწყისი გახდეს

ჯორჯ ბუშის წერილი ედუარდ შევარდნაძეს

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ,

მე მოველი თქვენთან შეხვედრას ჰელსინკში, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ისტორიაში პირველად, ერთა დემოკრატიული გაერთიანების ხელმძღვანელები, რომელიც გადაჭიმულია ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე, შეიკრიბებიან იმისთვის, რომ მოიწონონ უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთო პროგრამა.

ამ წერილში მინდა გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრებანი ჰელსინკში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის და მომავლის მიზნების გამო. მინდა გითხრათ, როგორ უერთგულებს ამერიკა ჰელსინკის პროცესს და როგორ შევძლებთ ვიმოქმედოთ ერთობლივად, რათა გავამართლოთ ამ ბოლო ხუთ წელიწადში მომხდარი დემოკრატიული რევოლუციით აღძრული დიდი იმედები.

პარიზის უმაღლესი დონის შეხვედრაზე, თვრამეტი თვის წინათ, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა მიიღეს ქარტია, რომელმაც საერთო დემოკრატიული საფუძველი შეუქმნა პროცესში მონაწილე ყველა მხარეს. ჰელსინკში ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა შინაარსით გავამდიდროთ მომავლის ეს ხედვა, შევიტანოთ მოვლენათა იმ განვითარების შესწორებანი, რომელსაც ჩვენი გაერთიანება სრულად ვერ იწინასწარმეტყველებდა, როცა პარიზში შევიკრიბეთ.

ჩვენი მიზანი ის უნდა იყოს, რომ ხორცი შევასხათ ჩვენს ურთიერთერთგულებას ადამიანის უფლებებისა და კანონიერებისადმი. უშიშროების ჩვენეული განსაზღვრება, უნდა გასცდეს ძალის მოსაზრებებს და შეეხოს ადამიანთა საზოგადოების თვით საფუძველს. სიგნალი მკაფიო უნდა იყოს: ნამდვილი მშვიდობა შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ დემოკრატიულ ინსტიტუტებს. ჰელსინკმა უნდა მისცეს იმედის სიგნალი, განსაკუთრებით იმათ, ვინც ცდილობს დემოკრატია ააგოს კომუნისტური სისტემის ნანგრევებზე. ჩვენ თავს ნებას ვერ მივცემთ, რომ ცვლილებათა ტემპმა ჩვენი ყურადღება ჩამოაშოროს არსს.

ჩვენი უმაღლესი დონის შეხვედრა შეიძლება თანამშრომლობის ახალი დიპლომატიის დასაწყისი გახდეს.

ცვლილებებში შობილი ერი, შეერთებული შტატები, იცნობს სიძნელეებს, რომლებიც თავისუფლების დამკვიდრების პროცესში წამოიჭრება ხოლმე. ჩვენ სახელმწიფო მშენებლობის პროცესში ვაწყდებოდით შინაგან სიძნელეებს და ეკონომიკურ კრიზისებს. ჩვენ გვესმის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა იმედები და მოუთმენლობა, მაგრამ გვწამს ისიც, რომ დადებითი

(დასასრული მე-2 გვ.).

სიტყვა — სახელმწიფო საბჭოს წევრს

მარადიული თანადგომა

როგორ ვუშველოთ საქართველოს?

იგორ ბოგომოლოვი, პროფესორი.

ერთა შორის ურთიერთობა დღეს არანაკლებ აღელვებს ჩვენს საზოგადოებრიობას, ვიდრე ეკონომიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სხვა უმნიშვნელოვანესი პრობლემები. და ეს არც არის გასაკვირი, რადგან საქართველოში ისტორიულად ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ მრავალი ეროვნების წარმომადგენელნი, ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის რიგ ქვეყნებში, მათ შორის, ჩვენს უახლოეს მეზობელ ქვეყნებში, არსებული ეთნოკრიზისების საერთო ფონზე რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ამ სათუთ სფეროში სტაბილურობის მიღწევა აქტუალურ და რთულ ამოცანას წარმოადგენს.

ჩვენს ეპოქაში, როცა საქართველო თავისი ისტორიული განვითარების ახალ ფაზაში შევიდა, გადაჭრით დაადგა რეალური სუვერენიტეტის და სახელმწიფო დამოუკიდებლობის გზას, ერთა შორის ურთიერთობანიც, ცხადია, განიცდის გარკვეულ ცვლილებებს. მაგრამ, როგორც ძველი სიბრძნე მეტყველებს, სიახლე ხშირად დავიწყებული სიძველეა. ამიტომაც, როცა ვაყალიბებთ ერთა შორის ურთიერთობას სამართლებრივ-დემოკრატიულ სახელმწიფოში, უნდა დავეყრდნოთ ისტორიულ გამოცდილებას, იმ მენტალიტეტს, რომელიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა საქართველოს მრავალეთნიკურ გეოპოლიტიკურ სივრცეში. თუ რისკენ მივყავართ ამ გამოცდილებისა და დამკვიდრებული ტრადიციის უგულებელყოფას, შეგვიძლია დავრწმუნდეთ შიდა ქართლში დატრიალებული ტრაგედიისა და იმ მოვლენების მაგალითზე, აფხაზეთში რომ აქვს ადგილი.

ისტორიას შეუძლია მხოლოდ მას მისცეს გაკვეთილი, ვისაც მისგან რაიმეს სწავლა შეუძლია. როგორია მისი გაკვეთილები? საყოველთაოდ ცნობილია, რომ საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბდა ქართველთა ტოლერანტული მენტალიტეტი, რომელიც გამოიხატა რელიგიური შემწყნარებლობით, იმ ხალხთა წარმომადგენლების ეროვნული ფასეულობების პატივისცემით, რომელნიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მათდამი კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით, მათი ინტერესების დაცვით.

ეს მენტალიტეტი მკაფიოდ გამოხატა ჯერ კიდევ შოთა რუსთაველმა: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. ქართველი ხალხის სწორედ ეს ეროვნული თვისება ყოველთვის იმსახურებდა ქვეყნის არაქართველი მოსახლეობის დიდ ყურადღებასა და პატივისცემას, ქართველებს, რომელთაც ფართოდ ჰქონდათ ღია კარი სტუმრებისათვის, არასდროს ეშინოდათ სხვისი გავლენისა, რადგან საკუთარი მდიდარი კულტურა, გმირული ისტორია, ორიგინალური ადათები იყო გარანტი არა მარტო მათი თვითმყოფადობისა, არამედ პირიქით, გავლენას ახდენდა სხვა ხალხთა წარმომადგენლებზე, რომელნიც საქართველოში ცხოვრობდნენ. ისტორია, კულტურა, ლიტერატურა ამის უტყუარი მოწმეა, ისევე როგორც იმისა, რომ ვერც ერთმა დამპყრობელმა, მათ შორის რუსეთის იმპერიამ, ვერ შეძლო შეერყია ქართველთა თავისუფლებისმოყვარე სული, მისი თვითმყოფადობა, ვერ შეძლო შეელახა მისი კულტურული თვითგამოხატვა, ქართველი ხალხის კეთილშობილური მენტალიტეტი. ეს ყველაფერი, ვიმეორებ, საყოველთაოდ ცნობილია. და სწორედ ეს, სხვა ფაქტორებთან ერთად ყოველთვის სამართლიანად იწვევდა პატივისცემას ქართველი ხალხისადმი ყველა იმათგან, ვისაც ჰქონდა შესაძლებლობა თუნდაც რაიმე შეხების წერტილი ჰქონოდა მასთან (უკვე დიდი ხანია დამტკიცებულია ის გავლენა, რაც მოახდინა საქართველომ XIX საუკუნისა და უახლესი დროის რუს მწერლებზე, მათ შორის კორიფეებზე).

თავის მხრივ არაქართულ მოსახლეობაშიც საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა საკუთარი მენტალიტეტი, რაზედაც წინათ როგორღაც არ იყო ყურადღება გამახვილებული. ამთავითვე მინდა სიცხადე შევიტანო ნათქვამში: არაქართული მოსახლეობა ყოველთვის არაერთგვაროვანი იყო. არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენში ცხოვრობენ არა მხოლოდ ისინი, ვისაც საქართველო მშობლიურ სახლად მიაჩნია, არამედ ისინიც, რომელთათვისაც საქართველო სასტუმროა. არიან ისეთებიც, ვინც ცდილობს მიითვისოს ამ „სასტუმროს“ საუკეთესო აპარტამენტები. ამიტომაც მე იმათზე ვილაპარაკებ, ვინც ფესვებით ჩაეზარდა საქართველოს კეთილნაყოფიერ ნიადაგს, ვინც დაიბადა კურთხეული ქართული ცის ქვეშ, ვისმა წინაპრებმაც საუკუნო განსასვენებელი ქართულ მიწაში ჰპოვეს და ბოლოს მათზე, ვინც მრავალი წელია ცხოვრობს საყვარელ ქვეყანაში, რომელსაც სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი. ისინი არ ივიწყებენ თავიანთ ეროვნულ კუთვნილებას, მაგრამ თვლიდნენ და თვლიან საქართველოს თავიანთ სამშობლოდ. განიცდიან მადლიერების გრძნობას. ქართველი

(დასასრული მე-2 გვ.).

კარიკატურისტის კომენტარი



მხატვარი ლევან მარტაშვილი.

ომი შეწყდა, სროლა გრძელდება

ეროვნული გვარდიის მელგრაძის შტაბიდან საქინფორმის კორესპონდენტები რობერტ ცუცქირიძე და თემო ნაფიშვილი იტყობინებიან:

გუშინ, გამთენიისას, ცხინვალის მხრიდან ექსტრემისტთა სნაიპერის ნასროლმა ტყვიამ სიცოცხლე მოუსპო ახალგაზრდა გვარდიელს გიორგი ფარადაშვილს, რომელიც ცხინვალის შესასვლელთან სახელმწიფო ავტოინსპექციის საკონტროლო პუნქტზე განლაგებულ ეროვნული გვარდიის სანგარზე იყო.

— შეთანხმების თანახმად, ომი შეწყვეტილია, მძიმე სამხედრო ტექნიკა დუმს. სამწუხაროდ, ეპიზოდური სროლა არ წყდება. განსაკუთრებით გააქტიურდნენ სნაიპერები, რომლებიც ნადირობენ ჩვენს გვარდიელებზე და არც მშვიდობიან მოსახლეობას ინდობენ. აშკარად ჩანს, რომ არის ცალკეული ბანდები, რომლებიც მხარეთა ოფიციალური წარმომადგენლების გადაწყვეტილებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე არ ემორჩილებიან, — თქვა ეროვნული გვარდიის სარდლის მოვალეობის შემსრულებელმა, გვარდიის პოლკოვნიკმა დავით ჭანკოტაძემ. — ვცდილობთ პროვოკაციას არ ჰყვეთ, თუმცა არც იმას გამოვრიცხავთ, რომ თავდამსხმელებს სათანადო პასუხს გავცემთ. ვიმედოვნებთ, საღმა აზრმა საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებს და კონფლიქტის ზონაში მშვიდობა დაისადგურებს.

●

საქმიან ვიზიტად მოსკოვში

7 ივლისს მოსკოვს ეწვია საქართველოს სახელმწიფო საბჭოს დელეგაცია. ვიზიტის დროს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრები შეხვდებიან რუსეთის ფედერაციის პარლამენტარებს, ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლებს, მათთან ერთად განიხილავენ შემდგომი თანამშრომლობის, ორი ქვეყნის საქმიანი წრეების, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს შორის კონტაქტების დამყარების სხვადასხვა პრაქტიკულ ასპექტს.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეს-ცენტრი.

გულისწყრომით დაგმეს

საქართველოს სახელმწიფო კონცერნ „საქგაზის“ თანამშრომელთა კრებამ, რომელმაც განიხილა საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და ამა წლის 24 ივნისს საქართველოს ტელევიზიის დეპარტამენტზე და სატელევიზიო ანძაზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის ფაქტი, შეაფასა იგი როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, შეთქმულება არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, ღალატი საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ, პოლიტიკური აქცია, მიმართული ხალხის მიერ დამხობილი დიქტატურის რესტავრაციისაკენ.

„საქგაზის“ მუშაკებმა დაგმეს გაძევებული ექსპრეზიდენტისა და მის მომხრეთა მზაკვრული ქმედებანი. მხარი დაუჭირეს საქართველოს დღეს მოქმედ ხელისუფლებას და მოუწოდეს ქართველ ხალხს ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ რესპუბლიკაში დამყარდეს მშვიდობა.

საქართველოს „საქგაზის“ სისტემის მუშაკები თავის მხრივ არ დაიშურებენ ძალასა და მონდომებას, რათა ღირსეული წვლილი შეიტანონ რესპუბლიკის ეკონომიკის სტაბილიზაციაში, ენერგეტიკული კრიზისის დაძლევაში.

სიტყვა—სახელმწიფო საბჭოს წევრს

მარადიული თანხმობა

როგორ ვუშველოთ საქართველოს?

იგორ ბოგომოლოვი, პროფესორი.

(დასასრული)

ხალხისადმი, რომელიც ისტორიულად არასდროს ბღალავდა მათს ეროვნულ უფლებებს და ინტერესებს, არ ზღუდავდა მათს კულტურულ ავტონომიას და კულტურულ თვითგამოხატვას. მრავალსაუკუნოვან ისტორიას არ ახსოვს ქართულ მიწაზე ეთნიკური დარბევები და, ბუნებრივია, არც საპასუხო ეთნიკური ამბოხებანი ეროვნული უფლებების დაცვის მიზნით. ჩვენს საუკუნეში გაღვივებული პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც ეთნიკური მოტივით შეიღება, როგორც გამონაკლისი, უფრო ადასტურებს ისტორიულ კანონზომიერებას, ვიდრე უარყოფს მას.

შემთხვევითი როდია, რომ უცხოელმა დამპყრობელმა ვერ შეძლეს შეექმნათ საქართველოში მძლავრი „მეხუთე კოლონა“ არაქართველი მოსახლეობის სახით, იყვნენ, რა თქმა უნდა, მოღალატენი (ისინი იყვნენ, სამწუხაროდ, თვით ქართველთა შორისაც), მაგრამ ყველა რანგის დამპყრობლებმა თავიანთი ექსპანსიური ზრახვებისთვის მტკიცე დასაყრდენი ვერ ჰპოვეს.

მე რუსი ვარ, საქართველოს სახელმწიფო საბჭოში წარმოვადგენ რუსულ ეროვნულ უმცირესობას, რომლის რაოდენობა დაახლოებით 400 ათასია. კარგად ვიცი ამ ეროვნული უმცირესობის ბევრი წარმომადგენლის განწყობილება, გულდასმით შევისწავლე საქართველოში მათი ცხოვრების ხანგრძლივი ისტორია. ამიტომაც, ბუნებრივია, მოვიხმობ ჩემთვის კარგად ნაცნობ მოვლენებს და ფაქტებს, თუმცა, იმაშიც ვარ დარწმუნებული, რომ ყველაფერი, რაზედაც მექნება ლაპარაკი, დიდწილად დამახასიათებელია სხვა ეროვნული უმცირესობებისთვისაც, ვინც ცხოვრობს საქართველოში. მინდა რუსებზე იმიტომაც ვილაპარაკოთ, რომ ამ ეროვნული უმცირესობის მდგომარეობა, გარკვეული აზრით, სპეციფიკურიც გახლავთ. ერთი მხრივ, ცალკეულმა პიროვნებებმა უახლოეს წარსულში სცადეს რუსული იმპერიალიზმისადმი საყოველთაოდ უარყოფითი განწყობილება გაევრცელებინათ ყოველივე რუსულის მიმართ, რამაც ვერავითარი მხარდაჭერა ვერ ჰპოვა ქართველ ხალხში, მეორე მხრივ, იმპერიულმა ძალებმა და იმდროინდელმა მასობრივი ინფორმაციის „ცენტრალურმა“ საშუალებებმა სცადეს სასწრაფოდ შეეთხზათ მითი საქართველოში ვითომდაც რუსოფობიაზე, რომლის წინააღმდეგ გადაჭრით აღიმაღლა ხმა რუსულმა მოსახლეობამ. და ბოლოს, ჩაიფუშა იმპერიული ძალების ცდა, შეექმნათ ე. წ. ინტერფრონტი (ბალტიისპირეთის მაგალითზე), რასაც არანაკლებ გადაჭრით მაშინვე წინ აღუდგა რესპუბლიკის რუსულენოვანი მოსახლეობა.

აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, ყველაფრის ამის საფუძველია ის მენტალიტეტი, რომელზედაც ზემოთ მქონდა ლაპარაკი. ავიღოთ, მაგალითად, რუსეთის იმპერია, რომელმაც 1801 წელს მოახდინა საქართველოს ანექსია და დიდი ხნით დაამკვიდრა ჩვენში თავისი ბატონობა. თითქოს სწორედ მაშინ გაიხსნა კარიერისტული პერსპექტივა იმ რუსებისთვის, რომლებიც ცხოვრობდნენ საქართველოში და კარგად იცნობდნენ ადგილობრივ ადათებს, ქართულ კულტურას და ისტორიას. ყველაფერს ამას, ცხადია, ხელი უნდა შეეწყო მათი სამსახურებრივი დაწინაურებისთვის იმპერიაში, განესაზღვრა მათი უპირატესობა იმ ჩინოვნიკების წინაშე, რომლებიც იგზავნებოდნენ რუსეთიდან და ვერ ფლობდნენ ადგილობრივ სიტუაციას. მაგრამ ეს, როგორც ისტორიამ დაადასტურა, არ მომხდარა. რუსული ეროვნული უმცირესობის მენტალიტეტი აშკარად სოლიდარული იყო ქართველი ხალხის მიმართ და თანაუგრძნობდა მის ეროვნულ დამოუკიდებლობას (ცნობილია, რომ 1882 წლის ანტიიმპერიულ შეთქმულებაში რუსებიც მონაწილეობდნენ) და არ იჩენდა სურვილს ემსახურა თვითმპყრობელობის კოლონიზატორული მიზნებისათვის. ეს კარგად იყო ცნობილი ოფიციალური პეტერბურგისათვის, რომელიც არ ენდობოდა ე. წ. „ადგილობრივ რუსებს“. დამახასიათებელია, რომ ქართველი მოღვაწენი, რომელთაც კარგად ესმოდათ, რომ იმპერიის პირობებში კავკასიაში მეფისნაცვალი მხოლოდ რუსი შეიძლებოდა ყოფილიყო, ცდილობდნენ ამ თანამდებობაზე დაენიშნებინათ „თავიანთი“ რუსი, რომელთა შორის იყო, მაგალითად, ალექსანდრე გრიბოედოვის კანდიდატურაც. ჟურნალ „კვალის“ ცნობით, „ეს რომ მომხდარიყო, ვინ იცის, იქნება ჩვენი გონებითი წარმატებაც მისი მეოხებით უფრო ბუნებით გზაზე დამდგარიყო. მაგრამ ეტყობა, საქართველოს აქაც ბუნებამ უმუხთლა“. (1895, № 9, გვ. 10).

უნდა აღვნიშნო, რომ ანალოგიური სიტუაცია განმეორდა საბჭოთა იმპერიის პერიოდშიც. უფროსი თაობის ადამიანებს ახსოვთ ისტორია ი. ხოხლოვთან დაკავშირებით. მისი კანდიდატურა წამოაყენა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის თანამდებობაზე (რომელიც აუცილებლად რუსს „ეკუთვნოდა“), მაგრამ კრემლმა პრინციპულად უარყო ეს კანდიდატურა, რადგან, ვიმეორებ, იმპერიული ძალები არასოდეს ენდობოდნენ „ადგილობრივ რუსებს“.

როგორც წერდა დეკაბრისტი დ. ი. ზავალიშინი „სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ზოგჯერ უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს, ვიდრე თავისი ეროვნების ადამიანებს, რომელთაც არა აქვთ მათთან უახლოესი საერთო ინტერესები“. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ა. ს. პუშკინის შემდეგი სიტყვები „არზრუმში მოგზაურობიდან“: „ჩერქეზებს ჩვენ (ე. ი. რუსები — ი. ბ.) ვძულვართ. ჩვენ ისინი განვდევნეთ ნაყოფიერი იალაღებიდან, მათი აულები დავანგრიეთ, მთელი ტომები გავანადგურეთ“. როგორც ვხედავთ, ა. ს. პუშკინმა სწორად ახსნა სიძულვილის მიზეზი რუსეთის იმპერიული ძალების მიმართ, რომელთაც განსაკუთრებული სისასტიკით დაიპყრეს კავკასია. აქ იგი უფრო ახლოს იდგა კავკასიის მკვიდრებთან, ვიდრე იმპერიის წარმომადგენლებთან, ისიც საინტერესოა, რომ კავკასიაში მომსახურე რუსებს როცა აღწერს, მ. ი. ლერმონტოვი ნარკვევში „კავკასიელი“ მათ ორ კატეგორიად ჰყოფს: ერთი ნაწილი ის არის, ვინც „იმსახურა იქ რამდენიმე წელი, ჩვეულებრივ ბრუნდებოდა რუსეთში ჩინითა და წითელი ცხვირით“, ხოლო მეორე ნაწილი მიდიოდა არმიაში „ხაზინის ანგარიშზე დიდი იმედით და პატარა ჩემოდნებით“. რამდენიმე ხნის შემდეგ, როგორც გვარწმუნებს მ. ი. ლერმონტოვი, ისინი სავსებით მკარგავდნენ რომანტიკულ და ფსევდოპატრიოტულ ილუზიებს და უკვე სწორად გაიაზრებდნენ კავკასიის ომის ჭეშმარიტ ხასიათს. მათში იღვიძებდა დიდი სიმპათია და სიყვარულიც კი „მოწინააღმდეგისადმი“, ყოველივე კავკასიურისადმი: „არისტოკრატიული და ქალაქური ცხოვრების ფუფუნებას მიუჩვეველს შეუყვარდა უბრალო ცხოვრება; არ იცოდა რუსეთისა და ევროპის პოლიტიკა და გაიტაცა მეომარი ხალხის პოეტურმა თქმულებებმა. მან სრულყოფილად გაიგო მთიელთა ადათები, სახელდებით გაიცნო მათი გმირები, დაიმახსოვრა მთავარი ოჯახების წარმომავლობა“. დრო გადის, ამ უბრალო, ღარიბ ოფიცერს, რომელთანაც „ჩინი არ მოდის“, გამოუმუშავდა თავისი მენტალიტეტი, რომელმაც უბიძგა მას, უარი ეთქვა იმპერიის მიერ გაჩაღებულ ომზე. მაგრამ როგორ უნდა გასულიყო თადარიგში, როცა არ ჰქონდა არსებობის საშუალება? და მაშინ ეს, მ. ი. ლერმონტოვის სიტყვით, უკვე „ქართველი კავკასიელი“ მიმართავს ორიგინალურ ხერხს პენსიის მოსაპოვებლად: „სროლის დროს თავს ლოდს ამოაფარებენ, ხოლო ფეხებს აიშვერენ პენსიისაკენ; ეს გამოთქმა ისეა კურთხეული ადათით, რომ კეთილმოქმედი ტყვია ხვდება ფეხს და კაცი ბედნიერია. გამოუდის თადარიგში გასვლა პენსიით, იგი ყიდულობს დროგს, შეაბამს მასში ერთ წყვილ ჯაგლაგ ცხენს და ნელ-ნელა გასწევს სამშობლოსაკენ“. მინდა ყურადღება მივაქციო იმას, რომ „კავკასიელი“ არ არის მხატვრული ნაწარმოები, იგი ნარკვევია. მ. ი. ლერმონტოვმა მასში დააფიქსირა, რაც თვითონ ნახა. მან კი ბევრი რამ ნახა, რადგან თვითონაც მსახურობდა არმიაში კავკასიის ფრონტზე და კარგად გაერკვა ადგილობრივ სინამდვილეში.

ამრიგად, უკვე თავისთავად უბრალო რუსი ადამიანების ყოფნა კავკასიაში და საქართველოში ხშირად რადიკალურად ცვლიდა მათ ფსიქოლოგიას და გარკვეული აზრით ხდებოდა კიდეც ამ ადამიანების ასიმილირება, იღვიძებდა მათში სიმპათია და სიყვარული ამ მხარისადმი, მისი ხალხისადმი, ისტორიისა და კულტურისადმი. ამაზე მეტყველებს არა მხოლოდ ლიტერატურა, არამედ მრავალრიცხოვანი ისტორიული ფაქტები. დავასახელებ მხოლოდ ერთს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში პეტერბურგიდან ჩამოვიდა უნივერსიტეტიდან „თავისუფალი აზროვნების“ გამო გარიცხული დ. დ. სემიონოვი. იგი აქ ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას სხვადასხვა სასწავლებლებში, შესანიშნავად შეითვისა ქართული ენა და ლიტერატურა, სარგებლობდა მოწაფეთა გულწრფელი სიყვარულით და ქართველი საზოგადოების ღრმა პატივისცემით. როცა გაიხსნა გორის სამასწავლებლო სემინარია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში, დ. დ. სემიონოვს შესთავაზეს მისი დირექტორობა. მის წინ იშლებოდა ბრწყინვალე კარიერა, იმპერიის სამსახურში რომ დამდგარიყო. მაგრამ დ. დ. სემიონოვი გახდა უკვე „ადგილობრივი რუსი“ და აკეთებდა იმას, რაც უფრო ემსახურებოდა საქართველოს ინტერესებს. მან თავი მოუყარა პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლებს, რომელთა შორის ბევრი იყო ქართველი, ძირფესვიანად შეცვალა სასწავლო პროგრამები და ბოლოს შემოიღო მშობლიური ენის სავალდებულო სწავლება, რამაც გორის სემინარია აქცია გამონაკლისად იმდროინდელ სასწავლებელთა შორის მთელი იმპერიის მასშტაბით. დ. დ. სემიონოვმა ბევრის გაკეთება მოასწრო, დიდი კვალი დასტოვა მოწაფეთა სულში, რომელთა შორის იყო თავისი მასწავლებლის მხურვალედ მოყვარული დიდი ვაჟა-ფშაველაც. ცხადია, დ. დ. სემიონოვის მოღვაწეობა არ მოეწონა მეფის ხელისუფლებას და იგი გადააყენეს დაკავებული თანამდებობიდან, როგორც „უაღრესად ლიბერალური მიმართულების პედაგოგი“.

ასეთია მხოლოდ ზოგიერთი ფაქტი საუკუნოვანი ისტორიისა და მრავლად შეიძლება ასეთი ეპიზოდების გახსენება. ყველა ეს ფაქტი ერთობ მრავლისმეტყველია და ხელს გვიწყობს, ბევრი რამ გავიგოთ, რადგან, თუ წარსული ვიცით, ჩვენთვის ადვილია ავხსნათ, თუ რა ხდება ჩვენს დროში. განა ქართული მენტალიტეტით არ აიხსნება, რომ 9 აპრილის ტრაგიკული დღეების შემდეგ ქართველ ხალხს არ გამოუხატავს რუსოფობიული განწყობილებანი? აქ შეუძლებელი იყო განმეორებულიყო ის, რაც სხვა რესპუბლიკებში ხდებოდა, საიდანაც გარბოდნენ რუსი ქალები და ბავშვები საშინაო ხალათებში და ჩუსტებში, ათასობით რუსმა ლტოლვილმა მოიყარა თავი მოსკოვში. ქართველი ხალხი ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდა და განიცდის ქცევის ისტორიული ნორმიდან მცირედ გადახვევასაც. როცა, მაგალითად, თბილისში ვიღაცამ დაანგრია ნ. ვ. გოგოლის ძეგლი ყოფილ ალექსანდრეს ბაღში, ეს ფაქტი პირველმა დაგმო ქართულმა ინტელიგენციამ. მახსოვს, რუსთაველის გამზირზე შევხვდი პოეტ მიხეილ ქვლივიძეს, რომელმაც ცრემლმორეულმა მითხრა ეს სამწუხარო ამბავი. ეს ძეგლი ხომ 1908 წელს გაიხსნა ილია ჭავჭავაძის ინიციატივით და აიგო ქართველი ხალხის სახსრებით. ძეგლის გახსნის დღეს მთელმა თბილისმა მოიყარა თავი ალექსანდრეს ბაღში (გიმნაზიებშიც კი გადაიდო მეცადინეობა). აქ გამოვიდნენ ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები, წაკითხული იქნა აკაკი წერეთლის ლექსი „გოგოლის ხსოვნას“ და ა. შ. არაერთხელ მომიხდა ამაზე საუბარი ქართველ მწერლებთან, მეცნიერებთან, პედაგოგებთან, მოსახლეობის სხვადასხვა ფენასთან და ადვილად დავრწმუნდი, რომ მ. ქვლივიძის გულისტკივილი მათი გულისტკივილიც იყო. ამიტომაც ბუნებრივია დასკვნა, რომ ეს აქტი განახორციელა, რა თქმა უნდა, არა ქართველმა ხალხმა, რომელიც თავისი მენტალიტეტის, თავისი დიადი წინაპრების სულისკვეთების ერთგული დარჩა.

საქართველოს რუსული მოსახლეობის საუკეთესო და ცნობილი წარმომადგენლები აქტიურად მხარს უჭერდნენ რესპუბლიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რაზედაც მეტყველებს მათი მრავალრიცხოვანი გამოსვლები პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით (მათ შორის ყოფილი საკავშირო ტელევიზიით); როდესაც, მაგალითად, 1991 წლის ნოემბერში რუსეთის პარლამენტი საქართველოს ეკონომიკური სანქციის გამოყენებით დაემუქრა, სწორედ ეკლესიის, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, სპორტის ცნობილმა რუსმა წარმომადგენლებმა ღია წერილით მიმართეს ბ-ნ ელცინს და მოითხოვეს თავი შეეკავებინათ იმ აქციისგან, რომლის შედეგად ერთობ დაზარალდება საქართველოს რუსთა და ქართველთა ურთიერთობა.

ვინც ხელი მოაწერა ამ წერილს, ყველა „ადგილობრივი რუსია“.

სამწუხაროდ, „ადგილობრივ რუსებს“ კიდევ ერთხელ, სულ ახლახან მოუწიათ ანალოგიური ღია წერილით მიმართვა ბატონ ბ. ელცინისადმი („საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წ. 5 ივნისი). ჩვენი პოზიცია ოდნავადაც არ შეცვლილა, იმედი გვაქვს, სასიკეთოდ შეიცვლება რუსეთის ხელმძღვანელობის პოზიცია, აღარასდროს დაეყრდნობა ძალისმიერ მეთოდს, რომლის გამოვლინებაც არის ყოველგვარი ეკონომიკური ბლოკადა, სამუდამოდ ჩაბარდება ისტორიას იმპერიული ამბიციები.

ამგვარი ფაქტების ჩამოთვლა ბევრისა შეიძლება.

დღესაც რუსული ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები გამოთქვამენ შეშფოთებას, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა აყოვნებს ჩრდილოეთ ოსეთის (რომელიც რუსეთის ფედერაციის წევრია) ხელმძღვანელობის ზოგიერთი ანტიჰუმანური გადაწყვეტილების პოლიტიკურ შეფასებას იმის გამო, რომ რუსეთში ჯერ კიდევ ვერ მოიღეს ბოლო იმპერიულ ამბიციებს, რაც გამოჟღავნდა ზოგიერთი რუსი დიდმოხელის ამასწინანდელ, მეტი რომ არა ვთქვათ, უპასუხისმგებლო განცხადებებში.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ორ სუვერენულ, თანაბარუფლებიან სახელმწიფოთა — საქართველოსა და რუსეთს შორის კეთილმეზობლური, ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულების დადებას. რა თქმა უნდა, არც ერთი ჩვენგანი არ აპირებს კავშირი დაკარგოს თავის ადრინდელ სამშობლოსთან, რადგან კაცი, რომელსაც ავიწყდება თავისი ეროვნული კუთვნილება, ადვილად ივიწყებს თავის დედას და მამას, ივიწყებს თავის ენას და კულტურას, რასაც აუცილებლად მიჰყავს იგი ეროვნული გადაგვარებისაკენ. მაგრამ ამავე დროს სრულიად შეუძლებელია საკუთარ სამშობლოს, საკუთარ სახლს განუდგე. ამაში, ალბათ, მდგომარეობს „ადგილობრივი რუსების“ მენტალიტეტის „საიდუმლო“.

სავსებით აშკარაა ჩვენი პოზიცია შიდა ქართლთან დაკავშირებით. როცა საერთო სახლში იღვრება სისხლი და ცეცხლი გიზგიზებს, ამ სახლის ყველა მცხოვრებს ძლიერ უჭირს. ქართულ-ოსური კონფლიქტი ატარებს არა ეთნიკურ, არამედ პოლიტიკურ ხასიათს. აქ ზედაპირზე არის ჩახლართული განსხვავებული პოლიტიკური ინტერესები. ამ კონფლიქტის დაშოშმინება შეიძლება მხოლოდ მოლაპარაკებათა გზით და დაპირისპირებულ მხარეთა პოლიტიკური დიალოგით, რადგან სისხლის ღვრა არ უნდათ არც ქართველებს და არც ოსებს. მაგრამ ამ მოლაპარაკებებს საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სავალდებულო პრინციპი, რაშიც ყველა ჩვენ, მისი მკვიდრნი, სისხლხორცეულად ვართ დაინტერესებულნი.

კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა: ყველაფერი რაც ითქვა, რა თქმა უნდა, ვრცელდება სხვა ეროვნულ უმცირესობებზეც, რაზედაც, უპირველეს ყოვლისა, მეტყველებს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები, როცა არაქართულმა მოსახლეობამ, შეიძლება ითქვას, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი თავის საერთო სახლის სუვერენიტეტს და თავისუფლებას.

დარწმუნებული ვარ, რომ არაქართული მოსახლეობის მენტალიტეტი თავისებურად იჩენს თავს საქართველოში ძმათაშორის ომის ტრაგიკულ დღეებში. რატომ არ მიიღეს მონაწილეობა ამ ომში ეროვნულმა უმცირესობებმა? ამ კითხვას სხვადასხვანაირად უპასუხებენ. ჭეშმარიტება კი, ჩემი აზრით, ისაა, რომ არაქართული მოსახლეობა ისტორიულად მივიდა იმ აზრამდე, რომ იგი უნდა იდგეს ქართველი ხალხის მხარდამხარ, რაშიც მდგომარეობს მისი სიცოცხლისუნარიანობისა და კეთილდღეობის წყარო. ბუნებრივია, რომ იმ დღეებში, როცა ქართველი ხალხი იდგა გზაგასაყარზე და თავის არჩევანს აკეთებდა, ეროვნულ უმცირესობას არ შეეძლო და არც უნდა ჩარეულიყო ამ მტკივნეულ პროცესში, რაც გაუთვალისწინებელ შედეგებს გამოიწვევდა. ფაქტობრივად ეს იქნებოდა მცდელობა, ეროვნულ უმცირესობას გაეკეთებინა ქართველთა ნაცვლად არჩევანი და მისი ბედი გადაეწყვიტა. და ამაშიც ვხედავ მე საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ არაქართული მოსახლეობის მენტალიტეტს, რომელსაც ესმის, რომ იგი უნდა დაადგეს სწორედ იმ გზას, რომელსაც მტკიცედ აირჩევს ქართველი ხალხი თავისი ისტორიის გარდამტეხ მომენტში. ამიტომაც ეროვნული უმცირესობა არაერთგზის უჭერდა მხარს და ახლაც უჭერს მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის დამყარებას საქართველოში.

განა სიმპტომატური არ არის, რომ, ვთქვათ, საქართველოში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანელები, მადლობა უფალს, არ ამჟღავნებენ ერთმანეთისადმი იმ უკიდურესად გამძაფრებული შეუთავსებლობის გრძნობას, რომელიც, სამწუხაროდ, თავს იჩენს მათი წინარე სამშობლოს მცხოვრებთა ურთიერთობაში? ამაშიც უნდა დავინახოთ ის გარემოება, რომ ისინი „ადგილობრივი სომხები“ და „ადგილობრივი აზერბაიჯანელები“ არიან, რომელთაც გამოუმუშავდათ ისტორიული მენტალიტეტი საქართველოსადმი.

ქართველთა ტოლერანტული ხასიათი ნათლად გამოიკვეთა ახლანდელ მძიმე დროში. ამჟამად საქართველოს სახელმწიფო საბჭო, სხვა მნიშვნელოვან დეკრეტებთან ერთად, მუშაობს ორი მნიშვნელოვანი დეკრეტის პროექტზე: ეროვნულ უმცირესობათა შესახებ და საქართველოს მოქალაქეობის სტატუსის შესახებ. პირველი მათგანი უკვე მზად არის განსახილველად. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ დეკრეტს ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ჩვენში დიდი ხანია ელიან, უფრო ზუსტად, იმ დღიდან, როცა მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ ისტორიული აქტი. უკვე მაშინ წამოიჭრა აუცილებლობა, რომ მკვეთრად განსაზღვრულიყო ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი და მოვალეობანი, სამართლებრივ საფუძველზე შემუშავებულიყო მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თავისუფლების, ეროვნული, კულტურული და ენობრივი თავისებურებების დაკმაყოფილების სახელმწიფოებრივი გარანტიები. ეს ყველაფერი დევს დასახელებული დეკრეტის პროექტში, რომლის მნიშვნელობა სავსებით აშკარაა.

არანაკლებ მნიშვნელობა აქვს დეკრეტს მოქალაქეობის შესახებ. იგი, უეჭველია, ხელს შეუწყობს მრავალი მტკივნეული პრობლემის გადაწყვეტას, რომლებიც წარსულის მემკვიდრეობად შემოგვრჩა. ეს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია სამართლებრივი სახელმწიფოს შენების გზაზე.

დარწმუნებული ვარ, ორივე ეს დეკრეტი ქმედით ზეგავლენას მოახდენს საქართველოში ერთა შორის ურთიერთობის რეგულირების საქმეში, სამართლებრივ საფუძველზე განამტკიცებს სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურთიერთობას, რომელიც იმთავითვე იყო დამახასიათებელი საქართველოსათვის. მათი დავიწყება არაფრით არ შეიძლება. ნებისმიერი ქართველი, რომელიც დაივიწყებს თავისი ხალხის ისტორიულ მისიას, გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს საქართველოს, ისევე როგორც ნებისმიერი წარმომადგენელი ეროვნული უმცირესობისა, რომელიც უღალატებს თავის მენტალიტეტს, წინასწარ გასწირავს თავს სრული კრახისათვის.

დღეს ხშირად ისმის ხმები კავკასიური და ზოგი სხვა „სახლის“ შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი საყოველთაო ზრუნვის საგანი დღევანდელ ეტაპზე უნდა იყოს წესრიგის დამყარება საკუთარ თავისუფალ, მშვიდობიან და სტუმართმოყვარე ქართულ სახლში. ეს სახლი უნდა იყოს ერთიანი, განუყოფელი, მტკიცე და მონოლითური. ამიტომაც ჭეშმარიტად დანაშაულად და ღალატად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი სეპარატისტის მცდელობა ცალკე ბინებად რომ სურს მისი დატაცება.

ამჟამად, საქართველოს მთავრობასთან შეიქმნა ეროვნებათა შორის ურთიერთობისა და ადამიანთა დაცვის სახელმწიფო კომიტეტი. ეს ერთობ მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, მისი მოქმედება ყოველმხრივ უნდა გაფართოვდეს. კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებულია საქართველოს მოქალაქეებით, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებით, ეჭვი არ მეპარება, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას არსებით დახმარებას გაუწევს ეთნოკონფლიქტების შედეგების ლიკვიდაციაში. ქართველის, აფხაზის, სომეხის, აზერბაიჯანელის, რუსის, ებრაელის, ოსის, ბერძნის, ქურთის და საქართველოს თანაბარუფლებიანი მოქალაქეების ერთიანი ხმა უფრო ომახიანად გაიჟღერებს საერთო ინტერესების დასაცავად, მტკიცედ აღუდგება იმათ, ვინც ეცდება გარედან თუ შიგნიდან შეარყიოს ჩვენი სამშობლოს საფუძვლები. მხოლოდ როცა დავამყარებთ სრულ წესრიგს ჩვენს სახლში, შეგვეძლება ღირსეული ურთიერთობა ახლობელ თუ შორეულ მეზობლებთან, მეგობრებთან და პარტნიორებთან.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კანონით, კონსტიტუციურად განმტკიცებული უფლებანი და მოვალეობანი საქართველოს ეროვნული უმცირესობებისა თვალწინ გადაუშლის მათ რესპუბლიკის ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობის ფართო პერსპექტივას, პერსპექტივას არა მარტო თავიანთი კანონიერი ადგილის მოპოვებისა, არამედ მათი შთამომავლობისთვისაც იმ ადგილისა და მნიშვნელობის შენარჩუნებისა საქართველოში. სწორედ საქართველოს კეთილდღეობისკენ უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ძალისხმევა, აზრი და მოქმედება.

გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ რუსთაველის გამზირის აღდგენის ფონდში.

გაუგებრობა რომ ავიცილოთ

საკონსულტაციო ჯგუფი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს

— მაქვს თუ არა უფლება დავიბრუნო 500 კვადრატული მეტრი სახნავი მიწა, რომელიც ადრე ჩემი ოჯახის საკუთრება იყო და რომელზეც შემდგომ სხვები დასახლდნენ? — ნორა ახვლედიანი (ქალაქი ცაგერი).

— ქალბატონო ნორა, თუ ადგილობრივ კომისიას მიაჩნია, რომ ეს თქვენი ან მამათქვენის ყოფილი მიწაა და იგი დაკავებული არ არის სხვა მიწათმოსარგებლის მიერ, თქვენ სრული უფლება გაქვთ მოითხოვოთ მისი დაბრუნება. სხვა შემთხვევაში კომისიამ შეიძლება გაითვალისწინოს თქვენი ოჯახის მდგომარეობა (რომელიც, როგორც წერილიდან ჩანს, უაღრესად მძიმე ყოფილა) და აღმოგიჩინოს სათანადო დახმარება, თუნდაც ნაკვეთის მონაცვლეობაში.

— მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო საკარმიდამო ნაკვეთი იმ ნორმით, როგორც ეს მთავრობის დადგენილებაშია მოცემული. ასე იმიტომ გეკითხებით, რომ ჩემს მშობლებს სხვა ვაჟიშვილი არ ჰყავთ და არც ცალკე კომლად ვარ გაფორმებული. — თემურ ნათიძე (გურჯაანი, სოფ. ჩუმლაყი).

— მთავრობის დადგენილებაში მოცემულია საკარმიდამო ნაკვეთის მაქსიმალური ნორმა და თან ნათქვამია, რომ კონკრეტულ გადაწყვეტილებას იღებს სოფლის კომისია ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. ასე, რომ მაქსიმალური ნორმის უცვლელად მოთხოვნა სწორი არ არის. მეორეც თქვენ ცალკე კომლი არ ხართ. ამიტომ მიწა ცალკე არ გამოგეყოფათ. თუ თქვენს კომლს იმაზე ნაკლები საკარმიდამო ნაკვეთი აქვს, რასაც კომისია განსაზღვრავს, თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ მისი შევსება.

●

— მაქვს თუ არა უფლება დავიბრუნო მამისეული საკარმიდამო ნაკვეთი ოზურგეთის რაიონის სოფელ ქვედა ბახვში ან იმ ნარგაობის ღირებულება, რომელიც მასზე იყო გაშენებული? — ალექსანდრე ანდღულაძე (ქალაქი ქობულეთი).

— თუ თქვენი ყოფილი მიწა ამჟამად დაკავებულია სხვა მიწათმოსარგებლის მიერ, თქვენ იგი არ დაგიბრუნდებათ. არც კომპენსაციაა გათვალისწინებული. სხვა შემთხვევაში, შეგიძლიათ მოითხოვოთ სხვა ნაკვეთის გამოყოფა დადგენილი ნორმის ფარგლებში, რასაც კომისია შესაძლებლობის მიხედვით გაითვალისწინებს.

დადგენილების ექო

— მეუღლე 30 წელიწადი მუშაობდა თერჯოლის გეოლოგიურ პარტიაში, მე კი ოჯახით ვცხოვრობდი გეოლოგების დასახლებაში. მაქვს თუ არა მიწის ნაკვეთის მოთხოვნის უფლება და ვის უნდა მივმართოთ? — თინა გაბადაძე (ქალაქი ქუთაისი).

— ვინაიდან ქალაქ ქუთაისს ადმინისტრაციული დაქვემდებარების საგარეუბნო ზონა არ გააჩნია, უმჯობესია მიმართოთ თერჯოლის რაიონის რეფორმის კომისიას, რომელიც იმედია გაითვალისწინებს თქვენი ოჯახის მდგომარეობას (რის შესახებაც წერილში წერთ) და დადგენილების საფუძველზე აღმოგიჩენთ სათანადო დახმარებას.

— 1972 წლიდან ვირიცხები ცალკე კომლად და ვცხოვრობ ცალკე. ჩემს მშობლებთან დარჩა ჩემი უმცროსი ძმა, რომელიც ამჟამად სტუდენტია. რაიონული კომისიის თავმჯდომარე იმ მოტივით, რომ ჩემი ძმა სტუდენტია მე და მამაჩემს გვიყოფს საკარმიდამო ნაკვეთის ერთ ნორმას. რამდენად სწორია ასეთი გადაწყვეტილება, მით უფრო, რომ მამაჩემი შრომისუნარიანია და შეუძლია მიწის დამუშავება? — იოსებ ფაშვლიშვილი ახმეტის რაიონის სოფელი ქისტაური).

— დადგენილებით მიწის ნაკვეთების გამოყოფა ხდება კომლებისათვის. თუ თქვენ ცალკე კომლი ხართ, როგორც ამას წერილში წერთ, ცალკე გეკუთვნით ნაკვეთის შევსება. ის მოტივი, რომ თქვენი ძმა სტუდენტია, თქვენსა და მამათქვენის კომლზე ერთი ნორმის გამოყოფის საფუძვლად არ გამოდგება. თუ მამას მიწის დამუშავება არ შეუძლია, ეს უნდა გაითვალისწინოს ადგილობრივმა კომისიამ და ამ მოტივით არ უნდა გაუზარდოს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი.

— გთხოვთ გაგვიმარტოთ, ეკუთვნის თუ არა საკარმიდამო ნაკვეთის გადიდება ბებიას კომლში ჩაწერილ ვაჟს, რომლის მშობლებს (ცალკე კომლად მაცხოვრებლებს) ჰყავთ ქალიშვილები. რაიონული კომისია გვიმტკიცებს, რომ რადგან მამასთან ქალიშვილები დარჩნენ, ვაჟს მშობლებთან ერთად ერთი ნორმა უნდა გამოეყოს. — ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის საკრებულო.

— ნაკვეთების განაწილება ხდება კომლებისთვის. აქ მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ ვინ არის კომლის წევრი, მამაკაცი თუ ქალი. ცალკე კომლს უფლება აქვს მოითხოვოს საკარმიდამო ნაკვეთის შევსება. კიდევ ვიმეორებთ, ბებიასთან ჩაწერილი ვაჟის მამის ოჯახს, სადაც ქალიშვილები დარჩნენ, არ აქვს მიწის დამუშავების შესაძლებლობა, მას ადგილობრივმა კომისიამ ამ მოტივით არ უნდა გაუუქმოს საკარმიდამო ნაკვეთი.

იგივე შინაარსის პასუხი გვინდა გავცეთ ახმეტის რაიონის მცხოვრებს გოგი ხოსიაშვილსაც, რომელიც სამწუხაროდ თავის შეკითხვაში სოფელს არ უთითებს.

ახლა ჩვენი მხრივ ყოველგვარი სისუსტის გამოვლენა შეფასებული იქნება როგორც ხალხის ინტერესების ღალატი

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს საგანგებო სხდომა

(დასასრული)

ჯნა წალენჯიხაში ხობიდან, ფოთიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან და სამტრედიიდან. ამის წყალობით შეიარაღებულთა მდგომარეობა, რომელიც დილის ათ საათზე კვლავ კრიტიკული იყო, რამდენადმე გაუმჯობესდა. ბანდები დაიფანტნენ, ბევრმა მათგანმა თავი შეაფარა ახლომახლო ტყეებს. სამწუხაროდ, არის მსხვერპლი, წინასწარი მონაცემებით დაიღუპა 12 და დაიჭრა 60 კაცი.

ედუარდ შევარდნაძემ შეაფასა მომხდარი ამბავი და თქვა, რომ ექსტრემისტების ეს გამოხდომა 24 ივნისს თბილისში მომხდარი ამბების გაგრძელებაა. მათ უნდოდათ მძევლად აეყვანათ ჯაბა იოსელიანი, რათა შემდეგ ხელისუფლებისთვის წაეყენებინათ ულტიმატუმი — გაეცვალათ იგი 24 ივნისს დაპატიმრებულ შეიარაღებული ავანტიურის ორგანიზატორებზე. დანაკარგები დიდია და ეს ჩვენთვის, ყველასთვის, სამწუხაროა, აღნიშნა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ. მით უმეტეს მინდა გავაფრთხილო ისინი, ვინც შეიძლება კიდევ გეგმავს ახალ ავანტიურას, რომ მათი საქმე განწირულია და უპერსპექტივოა, საქართველო აღარასოდეს დაუბრუნდება ავტორიტარულ, პროფაშისტურ რეჟიმს, იგი არ გადაუხვევს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის კურსს, რომელსაც მხარს უჭერს მისი პოლიტიკური პარტიების აბსოლუტური უმრავლესობა.

ედუარდ შევარდნაძემ ღრმა სამძიმარი გამოუცხადა დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მხარეზე იდგნენ ისინი. ამასთანავე დასძინა: ჩვენი სინდისი სუფთაა, ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ, გვქონდა მოლაპარაკება, შევთავაზეთ შესულიყვნენ შინაგანი ჯარების რიგებში, ვაფრთხილებდით უარი ეთქვათ შეიარაღებულ კონფრონტაციაზე, ახლა კი ჩვენი მხრივ ყოველგვარი სისუსტის გამოვლენა შეფასებული იქნება როგორც ხალხის, ამ რეგიონის გატანჯული მოსახლეობის ინტერესების ღალატი.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა აგრეთვე ინფორმაცია ცხინვალის რეგიონში მოგზაურობისა და მომავალი უმაღლესი დონის ჰელსინკის შეხვედრის თაობაზე.

სოხუმიდან გვატყობინებენ

მიმდინარეობს მოლაპარაკება

6 ივლისს სოხუმში გაიმართა აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საზოგადოებრიობის და ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ქართული ეროვნული ერთიანობის საბჭოს და დეპუტატთა ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის“ ინიციატივით გამართული სამდღიანი გამაფრთხილებელი გაფიცვების შედეგებზე სხდომაზე ინფორმაცია გაკეთდა იმასთან დაკავშირებით, რომ დაუყოვნებლივ დაიწყება დიალოგი აფხაზთა და ქართველთა მხარეების წარმომადგენლებს შორის. ამიტომაც მიზანშეწონილია საპროტესტო აქციებისგან დროებით თავშეკავება, ითქვა სხდომაზე.

ეს მოსაზრება სხდომის მონაწილეებმა მოიწონეს.

შეკრებილთ გააცნეს ინფორმაცია გაგრაში 4-5 ივლისს შექმნილი ვითარების თაობაზე.

სხდომაზე აღინიშნა საზოგადოებრიობის სამართლიანი უკმაყოფილება, რომელსაც იწვევს ეგრეთ წოდებული „აფხაზური გვარდიის“ ქვედანაყოფები. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეისა და სოხუმის აეროპორტში მომხდარი ფაქტების საფუძველზე ითქვა, რომ ისინი საკუთარ თავს დიდ უფლებებს აძლევენ, მოურიდებლად ჩხრეკენ და უმართებულო პრეტენზიებს უყენებენ მოქალაქეებს.

სხდომაზე მოითხოვეს, რომ გვარდიელებმა დატოვონ სამხედროებისთვის უჩვეულო „პოსტები“, რადგან აეროპორტს თავისი სატრანსპორტო მილიცია ჰყავს.

იოსებ გოგეჩია,
„სრ“ საკ. კორ.

ჩვენი უმაღლესი დონის შეხვედრა შეიძლება თანამშრომლობის ახალი დიპლომატიის დასაწყისი გახდეს

ჯორჯ ბუშის წერილი ედუარდ შევარდნაძეს

(დასასრული)

ცვლილებანი ადამიანთა საზოგადოების სურვილებსა და შეზღუდვებს შორის წონასწორობის შედეგი უნდა იყოს.

ჩვენი პასუხი ცვლილებათა გამოწვევაზე არ შეიძლება ხელოვნური სტაბილურობის გზების ძიებით შემოიფარგლოს. მაგრამ არ უნდა ვხელმძღვანელობდეთ ჩვენს ქცევაში სტანდარტების უქონლობით. საბოლოო აქტის ათი პრინციპი გვაძლევს ამ სტანდარტებს. ისინი მკაფიოდ გამოხატავენ მიზანს, რომელსაც ოფიციალური რატიფიკაცია არ სჭირდება. ჩვენი უმთავრესი ინსტრუმენტია პოლიტიკური ნების დემონსტრაცია, რომელიც ჩვენი მოქმედების ერთიანობიდან გამომდინარეობს.

ვიმედოვნებ, რომ ჰელსინკში მიღწეული იქნება თანხმობა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის უფრო გონივრული ორგანიზაციისა და კონფლიქტების ძირეულ მიზეზებთან დაკავშირებული ისეთი პროცედურების თაობაზე, როგორიც არის ნიდერლანდის მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომ დაწესდეს ეროვნულ უმცირესობათა საქმეებში უმაღლესი კომისრის პოსტი. ვიმედოვნებ აგრეთვე, რომ შევძლებთ გავაძლიეროთ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის უნარი დავის მშვიდობიან მოწესრიგებაში, კერძოდ მისი უნარი მიზანმიმართული (სავალდებულო) შერიგების პრინციპის განხორციელებაში.

ვაღიარებთ რა იმ ფაქტს, რომ არ არსებობს ორი ერთნაირი კონფლიქტი, რომ მათი გადაჭრა არ შეიძლება ერთგვარი მიდგომების მეშვეობით, ჩვენ გვინდა გამოვიყენოთ ის შესაძლებლობანი, რომლებსაც მოქნილი პოლიტიკური კონსულტაციები გვაძლევს.

თუ კრიზისი მაინც მოხდა, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს უნდა შეეძლოს მიმართოს ეფექტიან სტრუქტურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კრიზისის მართვის სრულ ინსტრუმენტებს და შეთანხმებულ პოლიტიკურ მოქმედებას. მე მაქვს ჰელსინკში თანხმობის მიღწევის იმედი, რომელიც გულისხმობს, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი თავს გამოაცხადებს რეგიონალურ ორგანიზაციად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-8 მუხლის კონტექსტით და იკისრებს მშვიდობის შენარჩუნების ფუნქციებს. როცა კონფლიქტი წარმოიშობა, საჭიროა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს ჰქონდეს მშვიდობის დამყარების უფლებამოსილებანი, რათა შეზღუდოს კონფლიქტი და შექმნას მტკიცე მშვიდობის პირობები.

ჩემი გადაწყვეტილება იმის მხარდასაჭერად, რომ ნატოს მიენიჭოს მშვიდობის დაცვის უნარი, მიღებული იყო გულმოდგინე ფიქრის შემდეგ. მივესალმები ნატოს და დასავლეთ ევროპის კავშირის წინადადებას, რომ დახმარება გაუწიონ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს სამშვიდობო ძალისხმევის განხორციელებაში, და მნიშვნელოვნად და საჭიროდ მიმაჩნია, რომ შევთანხმდეთ ჰელსინკთან იმ ღონისძიებათა თაობაზე, რომლებიც საშუალებას მისცემს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს თხოვნით მიმართავდეს უშუალოდ ნატოსა და დასავლეთ ევროპის კავშირს ან სხვა შესაბამის ორგანიზაციებს, თუ ამის საჭიროება შეიქნა.

ჩვენი პროგრამა ჰელსინკში წარმოადგენს ამბიციურ უწყებას, რომელიც ყოველდღიურ ყურადღებას მოითხოვს. სხვა გზა არ არსებობს დემოკრატიულ სახელმწიფოთა ევროატლანტიკური გაერთიანებისთვის, რომელსაც ჩვენ ვესწრაფვით, გარდა იმ გზისა, რომელიც ნატოს, ევროპის გაერთიანებისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მსგავს ორგანიზაციებს გააერთიანებს ერთ ქსელში, ურომლისოდაც წარმატებას ვერ მივაღწევთ.

ამ ისტორიული ამოცანის დასრულებაში თქვენთან თანამშრომლობის იმედი მაქვს.

გულწრფელად თქვენი
ჯორჯ ბუში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო ფოსტიდან

ზესტაფონის სამგზავრო ავტოსადგურში ორ წელზე მეტია ბილეთები არ იყიდება როგორც საგარეუბნო, ისე სარაიონთაშორისო და საქალაქთაშორისო მარშრუტებზე. თბილისისკენ მიმავალი ავტობუსის მძღოლები კი, თუ მოლარე ყველა ბილეთს გაყიდიდა, იმდენად უხეშობდნენ, რომ ზოგჯერ ბილეთიან მგზავრებს ავტობუსიდან ყრიდნენ. აუცილებელია № 2670 ავტოკოლონის დირექციამ ზესტაფონის ავტოსადგურის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით დროულად მოაგვაროს ეს საკითხი. ავტობუსში უბილეთოდ არ უნდა ვსხდებოდეთ.

შოთა ჩხეიძე.
ზესტაფონი.

◆

ახლახან ვიმგზავრე თბილის-ბორჯომის მატარებლით. მართალი გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, როცა თბილისის ბორჯომის სადგურზე ყველა სალარო დაკეტილი დამხვდა. რა მექნა, მეც უბილეთოდ შევედი ვაგონში და, როგორც იქნა, დასაჯდომი ადგილი ვიპოვე. თითქმის ყველა სხვა მგზავრიც უბილეთო იყო და ამისთვის თავი არავის შეუწუხებია. ბევრიც უბილეთოდ ჩავიდა სხვადასხვა სადგურში. ბოლოს ვაგონში ორი პენსიონერი შემოვიდა და ხელზე აკრიფეს ფული. ზოგმა დამალა სად მიდიოდა, ზოგმა სიმართლე უთხრა... არ ვიცი ეს „სიმბოლო“ ვის სჭირდება. ნუთუ ჩვენს გაღატაკებულ სახელმწიფოს აწყენს მგზავრობის საზღაურის აკრეფა? და კიდევ, ნეტავ სად მიდის ვაგონებში, ვინ იცის ვის მიერ, კაპიკ-კაპიკ შეგროვილი თანხა?

მგზავრი.

◆

მე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვარ, ვცხოვრობ თბილისში, მაგრამ სოფლის მეურნეობასთან კავშირი არ გამიწყვეტია. გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში მაქვს ბინა და საკარმიდამო ნაკვეთი, რომელიც საკმაოდ მოვლილი და ნაპატრონებია. ყოველ კვირას იქ მივდივარ და მიწას ვამუშავებ. ამ ბოლო დროს იძულებული ვხდები უარი ვთქვა მის მოვლაზე, ვინაიდან სამგზავრო ხარჯები მეტისმეტად გაიზარდა. ჩემს სოფლამდე ავტობუსის ბილეთი 71 მანეთი ღირს, ე. ი. წასვლა-წამოსვლა 142 მანეთი მიჯდება. პენსიონერს აქვს კი ამის საშუალება? თანაც მარტო მე ხომ არ ვარ ასეთ დღეში! იძულებული ვხდებით ათასობით ოჯახმა ხელი ავიღოთ სოფლის მეურნეობაზე. არადა, სურსათის მომარაგება ახლა აუცილებელია. იმედია, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს მოსახლეობის ინტერესებს.

მალხაზ აშკარელაშვილი,
თბილისი.

◆

თბილისში თითქმის ყველა რაიონში აღდგა ავტობუსების მიმოსვლა. ჩვენსკენ კი, აეროპორტის დასახლებაში, № 8 ავტობუსი საერთოდ არ დადის. მართალია მოძრაობს ექსპრესი, მაგრამ ყოველდღე 6-8 მანეთის გადახდა გვიჭირს. იქნებ თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებამ გვიპასუხოს, როდის აღდგება № 8 სამარშრუტო ავტობუსის მიმოსვლა?

ლ. აბაზაძე, ც. ჯერენაშვილი, მ. დოლინა, მ. ქასრაძე და სხვები.

◆

მიმდინარე წლის 7 მარტს თბილისის მრავალდარგოვან კოოპერატივ „ამირანში“ (დეზერტირის ბაზართან) შევიძინე ქალის ფეხსაცმელი, რომელშიც 250 მანეთი გადავიხადე. ფეხსაცმელს გვერდზე ჰქონდა ოქროსფერი ზოლი, რომელიც მესამე დღესვე აძვრა. ძირი მთლიანად აიქერცლა, გაფუჭდა, ხოლო ზედაპირი ნაწილობრივ დასკდა. ყოველივე ეს 4-5 დღეში მოხდა. კოოპერატივში ფეხსაცმელი არ დაიბრუნეს, თან შეურაცხმყოფელი სიტყვებით გამომისტუმრეს — „იყიდე? მორჩა, ეს კოოპერატივია“. ნეტავ როდემდე გაგრძელდება ადამიანების ასე აბუჩად აგდება?

ვიქტორ ზარქუა,
თბილისი.

◆

ერთი პატარა, მაგრამ ძალზე საჭირო ტრადიცია ჰქონდათ ახლო წარსულში დასავლეთ საქართველოს ბარში მცხოვრებთ, სადაც ჰავა ნესტიანია და ჭორომის, ხშირი წვიმების დროს ნიადაგი არცთუ იშვიათად ჭაობდება. იქ მეზობელი მეზობლის საზღვარზე ღობეს ისე არ გაავლებდა, მის გასწვრივ არხი რომ არ გაეჭრა. ამ არხს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, მასში ჩაიწრიტებოდა ეზოებში დამდგარი წვიმის და გრუნტის ჭარბი წყლები. აღნიშნული წყლები იოლად ორთქლდებოდა, რაც ხელს უშლიდა ნიადაგის დაჭაობებას. ეს კი, რა თქმა უნდა, ორივე მხარისთვის იყო ხელსაყრელი. ამ არხებს ბევრი სხვა სასიკეთო დანიშნულებაც ჰქონდა. მაგრამ ისინი ამ ბოლო დროს, სამწუხაროდ, მივიწყეთ, რაც ყოვლად მიუღებელია. აღვადგინოთ კარგი ტრადიცია!

ვახტანგ კაკაძე,
სამტრედია, სოფელი მელაური

ყველას თავისი აზრი აქვს

აშშ, მინეაპოლისი

ღია წერილი ბატონ მელორ სტურუას

ბატონო მელორ!

წინდაწინვე მინდა მოგახსენოთ, რომ თქვენ ბრძანდებით უდავოდ ნიჭიერი, საყოველთაოდ აღიარებული მაღალი რანგის ჟურნალისტი და მოღვაწე, რომელსაც სავსებით დამსახურებულად ჰყავს ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი. მათ შორის — მეც.

ახლა კი მოკლედ თქვენი წერილის — „შევარდნაძის წვიმიანი ღამე საქართველოში“ — შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა „ნიუ-იორკ ტაიმსის“ 27 მაისის ნომერში. თქვენი მიზანი ბატონო მელორ, როგორც წერილის შინაარსიდან ვიგებთ, სათაურში ნახსენები პიროვნებისათვის უსიამოვნების მიყენება იყო.

მეტიც, თქვენ შეეცადეთ, რომ ქართველი ხალხი, რომელმაც „შევარდნაძე უკან მოიწვია“, წარმოგედგინათ „ნიუ-იორკ-ტაიმსის“ „მკითხველებისათვის როგორც „თავისებური ნარევი ავანტიურისტებისა, ინტელექტუალებისა, ნაციონალისტებისა“. ამ აბზაცის უკანასკნელი ხუთი სიტყვა ხომ საკმაოდ ნაცნობია?!

საბედნიეროდ მიზანს ვერ მიაღწიეთ: მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულმა მკითხველმა გაშიფრა თქვენი განზრახვა და შედეგი სრულიად საწინააღმდეგო მიიღო. ამასთან თქვენი წერილით საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეთ თქვენი ძმა — ბატონი დევი. (ამაზე ქვემოთ). ნიჭიერი კალმის ბოროტად გამოყენებამ ქართველი მკითხველის თვალში თქვენც, თქვენს ავტორიტეტს, ზიანის მეტი არაფერი მოგიტანათ.

გულდასაწყვეტია, რომ თქვენ შორეულ მინეაპოლისში დაწერილ წერილში ვერ გაიმეტეთ ერთი წინადადებაც კი, რომ ამერიკელი მკითხველისათვის თქვენი ერი, შესაფერისად წარგედგინათ. გარკვეული აზრით ეს იქნებოდა თქვენ მხრივ საქართველოს მხარის დაჭერა, რასაც იგი დღეს დიდად საჭიროებს. სამწუხაროდ, თქვენ ეს არ გააკეთეთ. სამაგიეროდ ამჯობინეთ „მეგობრისათვის“ „მეგობრული „პატივისცემის“ მიგება.

ეხლა კი უფრო კონკრეტულად. ბატონო მელორ! თქვენი ჩანაფიქრის შესაბამისად წერილის მეორე აბზაციდან უკვე იწყება ლვარძლიანი ირონია.

თქვენ ძლიერ განიცდით, რომ თქვენმა ძმამ დევი სტურუამ, საქართველოს კომპარტიის მექრთამე ხელმძღვანელის ვასილ პ. მჟავანაძის წინააღმდეგ ბრძოლაში „მარცხი განიცადა და ჩამოქვეითებულ იქნა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობამდე“. თქვენს ამ მტკიცებებში ორი „უმნიშვნელო“ უზუსტობაა.

პირველი უზუსტობა. დღემდე არავის მოსვლია აზრად, რომ ვასილ მჟავანაძე მოენათლა მექრთამედ, ცხადია, არც ბატონ დევის!

მეორე უზუსტობა. თქვენს ძმას, ბატონ დევის არასოდეს უბრძოლია „მექრთამე“ მჟავანაძის წინააღმდეგ. პირიქით, იგი ყოველთვის ყველაზე ახლოს იყო მასთან.

ამიტომ თქვენი ძმის „ჩამოქვეითება“ „ბრძოლაში დამარცხებით“ როდი იყო გამოწვეული. მიზეზი სულ სხვა გახლდათ. ამის შესახებ ძმისათვის რომ გეკითხათ, მაშინ თქვენი წერილი დაზღვეული იქნებოდა აღნიშნული უზუსტობისაგან.

რაც შეეხება ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე ბატონ დევის „ჩამოქვეითებას“, უნდა მოგახსენოთ, ჯერ ერთი, ეს ჩამოქვეითება კი არა, დიდი პატივია. და, მეორეც, იგი ინსტიტუტს ღირსეულად უძღვებოდა, სარგებლობდა კოლექტივის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით.

შემდეგ, თქვენ წერთ, რომ თქვენი ძმა და ედუარდ შევარდნაძე იყვნენ ძველი მეგობრები და კონკურენტები. მეგობრობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ კონკურენციად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობისათვის ბრძოლა უნდა ვიგულისხმოთ. იმედია, არ მიწყენს ბატონი დევი, რომელსაც გულწრფელად პატივს ვცემ, თუ ვიტყვი, რომ მას ამ დიდი თანამდებობის დაკავებისათვის, მიუხედავად დიდი განათლებისა, საჭირო მონაცემები არ გააჩნდა. ამიტომ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს არ ან თითქმის არ ჰყავდა კონკურენტი. ამიტომ მან სავსებით დამსახურებულად დაიკავა ეს მაღალი პოსტი. მართალია, ბატონ ედუარდ შევარდნაძის მუშაობაში იყო სერიოზული ხარვეზები და შეცდომებიც კი, რაც მას არაერთხელ აღუნიშნავს. ამასთან არ უნდა უგულებელვყოთ ისიც, რომ, თითქმის ყველა ეს ხარვეზი და შეცდომა განპირობებული იყო იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ურთულესი ვითარებით. სამწუხაროდ, ზოგიერთებს არ სურს ამის გაგება.

როგორც ირკვევა, თქვენ ბატონო მელორ, უკმაყოფილებას გამოთქვამთ იმის გამო, რომ ამჟამად ბატონი შევარდნაძე ზის თქვენი „ძმის ოფისში.“ თქვენი „ძმის მაგიდასთან“. შეგიძლიათ დამშვიდდეთ, „ბატონო მელორ! თქვენი ძმის კაბინეტში მის მაგიდასთან ზის არა შევარდნაძე, არამედ გერმანე ფაცაცია — უკვე სხვა პროფილის ინსტიტუტის ახალგაზრდა დირექტორი, რომელიც თავის დროზე ბატონმა დევიმ მიიღო სამუშაოზე, თვითონ იყო დირექტორად მისი დანიშვნის რეკომენდატორი და ახლა ორივე გულწრფელი პატივისცემით ეპყრობა ერთმანეთს.

თქვენ წერთ: შევარდნაძემ „მსხვერპლად შესწირა თავისი კეთილდღეობა და სიმდიდრე“ საქართველოს. „თითქმის მთელი თავისი დანაზოგი ვალუტა მისცა საქართველოს და შეწყვიტა თავისი მოგონებების წერა, რომლისთვისაც მას უნდა მიეღო 1,5 მილიონი დოლარი“.

ჩვენი აზრით ასეთი ნაბიჯი შეუძლია გადადგას მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ერის ინტერესებისათვის მებრძოლმა.

თქვენ, კი, ბატონო მელორ, ამას სრულიად შეუსაბამო, სრულიად საწინააღმდეგო შეფასება მიეცით. აი რას წერთ: „მაგრამ არსებობდა უფრო საშიფათო და არასასურველი რამ, ვიდრე საქართველოში დაბრუნება იყო. შეურაცხმყოფელი უმოქმედობის ატანა მოსკოვში, პოლიტიკური მივიწყებით გამოწვეული სიკვდილი. მან დაკარგა ძალაუფლება და კარგავდა გავლენას, ის რჩებოდა, ღმერთო ჩემო, უადგილოდ და ეს ბევრად უარესი იყო, ვიდრე ფულის და სიცოცხლის დაკარგვა“.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის ეროვნული საქმეებისათვის ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, არაობიექტური ინტერპრეტაციის მიცემა შეეძლო მხოლოდ, როგორც იტყვიან, დაბოლმილ ადამიანს. ბატონო მელორ, რამდენ ხანს ინახავდით გულში ასეთ ბოღმას თქვენი და თქვენი ძმის „მეგობრის“ მიმართ“?

ვეთანხმებით, რომ დანაზოგი ვალუტის გამეტება არც ისე იოლია. ამას ყველა ვერ გააკეთებს. დასწყევლოს ღმერთმა, დოლარები, დოლარები, მართლაც, ურიგო საქმე როდია. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საკუთარ ჯიბეში დასტებად გიდევს.

მაგრამ ვფიქრობ, დანაზოგი ვალუტის გამრავლებაზე გაცილებით მომგებიანია ერის ღირსებისა და სახელისათვის ბრძოლა.

ბატონო მელორ! როგორ ფიქრობთ, ნუთუ შევარდნაძისათვის ლვარძლიანი სიტყვების თაიგულის მირთმევას არ აჯობებდა ჩამობრძანებულიყავით თბილისში, თქვენ ხომ მისი საპატიო მოქალაქე ბრძანდებით, და მიგეღოთ უშუალო მონაწილეობა გაუგონარ უბედურებათა და საშინელებათაგან ერის ხსნაში? თქვენ კი ჩვენს გაჭირვებაზე მინეაპოლისიდან ხითხითი ამჯობინეთ.

თქვენ წერთ: „არ იყო შემთხვევით, რომ საქართველომ ახლახან მოიპოვა თავისი წილი შავი ზღვის ფლოტიდან. მაგრამ არის ეს მიზანი შევარდნაძისათვის მისაწვდომი? საქართველო არ არის უკრაინა და არა აქვს ატომური რაკეტები“. ამ სტრიქონების წაკითხვისას შეიძლება ადამიანს გულიანად გაეცინოს. ნუთუ თქვენ, ბატონო მელორ, საერთაშორისო საკითხების საკმაოდ ავტორიტეტულ მცოდნეს ამ შემთხვევაში აუცილებელ საჭიროებად მიგაჩნიათ ატომური რაკეტების გამოყენება?

წერილის ბოლო აბზაცში წერთ: „ბატონი შევარდნაძე არის მარტოხელა მოხეტიალე და მარტოხელა მოხეტიალეები კი მხოლოდ კინოფილმებში გვევლინებიან მხსნელებად. რეალურ ცხოვრებაში მხოლოდ სასწაულს შეუძლია დაეხმაროს ჩემს მეგობარ ედუარდს“. აი ნიმუში „მეგობრობისა“, რასაც სინამდვილეში დისკრედიტება ჰქვია!

დაგამშვიდებთ: თქვენს მიერ „მარტოხელა მოხეტიალედ“ წარმოდგენილი პიროვნება, წინააღმდეგ თქვენი სურვილისა, დღეს ქართველი ერის ყველა ჯანსაღი ძალის დიდი ნდობით, დიდი მხარდაჭერითა და პატივისცემით სარგებლობს.

ვფიქრობ, საკმარისია.

დასასრულ პატარა შეკითხვა, ბატონო მელორ! რა გამოძრავებდათ თქვენ, ცნობილ ჟურნალისტსა და მოღვაწეს, როცა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ აქვეყნებდით აღნიშნულ წერილს — მაღალი მეგობრული გრძნობები შევარდნაძისადმი, თუ სრულიად საწინააღმდეგო მიზანი?

ერთი რამ უდავოა, რომ თქვენი „მეგობარი“ შეუდარებლად, გაცილებით საპატიო ადგილს დაიკავებს მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში, ვიდრე თქვენ, მისი „მეგობარი“ — ჟურნალისტიკის ისტორიაში.

ბატონო მელორ, თქვენის მისამართით საკმაოდ მკვეთრი სიტყვები ვიხმარე, მაგრამ მენდეთ, სამართლიანი სიტყვებია, ობიექტურობის ინტერესებით ნაკარნახევი.

ამასთან მინდა შეგახსენოთ, რომ წვიმიანი ღამის შემდეგ უმრავლეს შემთხვევაში კარგი დარი დგება.

პატივისცემით
გრიგოლ ჟვანია.
თბილისი. 1992 წლის 2 ივლისი.

სამთავრობო კომისიის სხდომა

იძულებით გადაადგილებულ პირებს მეტი დახმარება სჭირდებათ

გაიმართა ცხინვალის რეგიონის პრობლემათა საგანგებო სამთავრობო კომისიის მორიგი სხდომა, რომელმაც მოისმინა ინფორმაციები კონფლიქტის რეგიონში მცხოვრებთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კვების პროდუქტებით მომარაგებისა და სამედიცინო მომსახურების, ერედვი-ხეითის გზის მშენებლობის მიმდინარეობის, ოსი მოსახლეობის მოძრაობის შესახებ, კავშირგაბმულობის სამინისტროს ანგარიში, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილის ზურაბ დვალის ინფორმაცია იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დაცვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების თაობაზე.

აღინიშნა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დაცვის საკითხის მოგვარებას საშველი არ დაადგა. კვლავ კვების გარეშე არიან დარჩენილი თემქის პროფილაქტორიუმ-სანატორიუმში, მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში, 36-ე პროფტექნიკური სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში, რუსთავის სასტუმრო „რუსთავში“ მოთავსებულები, ვაჭრობის სამინისტროს არაერთგზის დაპირება დაპირებად რჩება. სხვას რას უნდა მოველოდეთ, როდესაც კომისიის წევრი, ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ავთანდილ წილოსანი არც კი ესწრება კომისიის სხდომებს. მინიმალური ხელფასის ოდენობის შემწეობის გაღება კვლავ არ ხდება. კომისიამ დაავალა შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს შეიმუშაონ და უახლოეს პერიოდში მთავრობას წარუდგინონ კონკრეტული წინადადებანი იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დაცვისათვის საჭირო სახსრების გამოძებნის შესახებ.

კომისიის უმრავლესობამ თავი შეიკავა და არ მიიღო ნოდარ ნათაძის მიერ განსახილველად გამოტანილი პოლიტიკური განცხადების პროექტი, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ ცხინვალის რეგიონიდან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გაყვანა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს რაიმე წინასწარ პირობაზე, თვით ცეცხლის შეწყვეტაზეც კი, რომ ამ შეიარაღებულ ძალთა გამოყვანა უნდა მოხდეს უპირობოდ და დაუყოვნებლივ, რითაც ერთ-ერთი ძირითადი მასტიმულირებელი ფაქტორი მოსცილდება ცხინვალის კონფლიქტს.

გაიმართა მსჯელობა იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ დაცვაში არსებული ფინანსური და სხვა დარღვევების შესახებ. კონტროლის პალატისა და კომისიის მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე მომზადებულ პროექტს წარუდგენენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმს.

ჰენრი კუპარაშვილი.

მწვავე სიგნალი

კერძო მესაკუთრეს დახმარება სჭირდება

დუშეთისა და მცხეთის რაიონებში ინტენსიურად შეუდგნენ მიწების პრივატიზაციას. უნდა ითქვას, რომ აქ საქმეს კარგად დაადგეს თავი. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ პრივატიზაცია შედარებით მშვიდ საქმიან ვითარებაში მიმდინარეობს, რასაც სამწუხაროდ, ვერ ვიტყოდით საქართველოს ზოგიერთ რაიონზე. დუშეთის რაიონში უკვე 1284 ჰექტარი მიწა მოექცა კერძო საკუთრებაში, ამ ციფრით მიწის პრივატიზაცია მხოლოდ ბარის ზონაში განისაზღვრა. მთაში კი ბევრად უკეთესი მდგომარეობაა (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დუშეთის მესვეურთა მხრიდან ოპერატიულ ჩარევასა და მეტად ფაქიზ მიდგომას მოითხოვს ყოფილ ჟინვალელთა საკითხი, რომელთა კუთვნილი სახნავ-სათესიც წყალსაცავითაა დაფარული), მაგრამ მხოლოდ მიწის განაწილება საქმეს არ შველის, მიწის ახალი მეპატრონენი ჯერ-ჯერობით ღარიბები არიან და შემოდგომაზე სოფლის ბარაქის მომლოდინე სახელმწიფო და მესაკუთრე გულგატეხილი რომ არ დარჩნენ, მათ დღესვე სასწრაფოდ სჭირდებათ დახმარება. ამ ორი რაიონის სოფლების უმეტესობა კვლავ საზოგადოებრივი მეურნეობებია. მათ ვენახებში (არც კერძოში), ჯერ ვაზის არც ერთი წამლობა არ ჩატარებულა, ამასწინანდელმა ცუდმა ამინდებმა კი ნორჩ ყლორტებს უკვე ჭრაქის ნიშნები დაატყო. არც რიგთაშორისები იხვნება და არც მიწის განაყოფიერებისთვის საჭირო სხვა შხამქიმიკატები მიეყიდება კერძო მესაკუთრეს.

ანზორ სულიაური,
„სრ“ საქ. კორ.

XXI საუკუნის კარიბჭესთან

ნახევარი ცხოვრების გზაც არ ჰქონდა გავლილი, რომ ქალი, პროფესიით ფიზიკოსი, ხერხემლის მძიმე ტრავმამ ლოგინად ჩააგდო და პირველი ჯგუფის ინვალიდი გახადა. ექიმებმა ბევრი უტრიალეს, რა არ სცადეს, მაგრამ ვერ უშველეს. სხვა ბედს შეურიგდებოდა და დანარჩენ ცხოვრებას წვალებაში გაატარებდა, მაგრამ ის ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო.

იმას, ეტყობა, ღმერთმა ჩვეულებრივზე უფრო გამჭრიახი გონება მისცა — არ შეურიგდა უიმედო განაჩენს და გადაწყვიტა, თვითონ ეშველა თავისი თავისთვის. ჯერ შეისწავლა მედიცინა, განსაკუთრებით ჰომეოპათია, მერე — ჩინური და ინდური ხალხური მედიცინა, ეძებდა მათ შორის კავშირს, გრძნობდა, რომ სხვადასხვა დაავადებას ერთი საწყისი აქვთ, ხვდებოდა, რომ რაღაცა კავშირი იყო მედიცინასა და ფიზიკას შორის, მაგრამ მიხვედრასა და მიგნებას შორის დიდი ზღვარია! ადამიანის წინაპარი კოცონთან რომ იჯდა, ხედავდა, ბოლი ზევით ადიოდა, ხვდებოდა, რომ თბილი ჰაერი ცივზე მსუბუქია, მაგრამ სანამ ის თბილი ჰაერი ქსოვილის ბადეში ჩასვა, ზედ „გონდოლა“ ჩამოჰკიდა, თვითონ შიგ ჩაჯდა და ზეცაში ავიდა, დიდი დრო გავიდა. იმ ქალს ამდენი დრო არ ჰქონდა. სასწრაფოდ უნდა ეშველა თავისთვის.

სარეცელს მიჯაჭვული ფიქრად გადაიქცა. დღე დღეს მისდევდა, ღამე — ღამეს, დრო გადიოდა, გზა კი არ ჩანდა. ხანდახან თითქოს განათდებოდა, თითქოს გამოჩნდებოდა გზა. მაგრამ მალე ისევ ბურუსი ჩამოწვებოდა. და იძულებული იყო ყველაფერი თავიდან დაეწყო. სხვას გული გაუტყდებოდა და სასოწარკვეთილებას მიეცემოდა. სხვას, მაგრამ არა მას, მას მარცხი არ აშინებდა, პირიქით, დაბრკოლება მხნეობას მატებდა, კიდევ უფრო ჯიუტად ეძებდა გამოსავალს, და ბოლოს გაუმართლა. მიაგნო კავშირს მედიცინასა და ფიზიკას შორის, გამოიგონა აპარატი, რომელსაც შეეძლო ორგანიზმის ბიოენერგეტიკული ველის კორექცია და ექიმების სასტიკი განაჩენის მიუხედავად, თავს უშველა — სრულიად განიკურნა. გახარებულმა სასწრაფოდ აცნობა ეს ჯანმრთელობის სამინისტროს, ეგონა, უმალ გზას გაუხსნიდნენ ახალ მეთოდიკას და დანერგავდნენ პრაქტიკაში, მაგრამ მოხდა ის, რაც არაერთხელ მომხდარა (და კვლავაც მოხდება) — მედიცინის ჩინმედლებიანმა მამამთავრებმა ახლოსაც არ გაიკარეს. ბევრი ბრძოლის შემდეგ იმ ქალმა გადაწყვიტა გაცლოდა ჩვენს არაადამიანურ სისტემას და უცხოეთში გაიხიზნა.

ბევრი წვალებისა და გაჭირვების შემდეგ, როგორც იქნა, ამერიკას მიაღწია. იქაურმა ექიმებმა მისი ხერხემლის რენტგენული სურათები რომ ნახეს, თვალს არ დაუჯერეს, მაგრამ შედეგი აშკარა იყო და ყველა პირობა შეუქმნეს კვლევის გასაგრძელებლად. მალე მან ჰიუსტონში დააარსა ბიოენერგეტიკული თერაპიისა და ჰომეოპათიის ცენტრი. თავისი გამოგონების პატენტიც მიიღო და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გახსნა ჰიუსტონის ცენტრის ფილიალები.

* * *

ერთ დროს მოსკოვში ვცხოვრობდი და სამხატვრო თეატრში ვმუშაობდი, იქ ბევრი მეგობარი გავიჩინე, მაგრამ ერთ მსახიობს, იური ლეონიდოვს და მის ოჯახს განსაკუთრებით დავუახლოვდი. დრო გავიდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მე სამშობლოში დავბრუნდი, ჩვენი გზები გაიყარა, მაგრამ კავშირი არ გაგვიწყვეტია, დროდადრო მოვიკითხავდით ხოლმე ერთმანეთს. შარშანწინ ის ჩემი მეგობარი გარდაიცვალა. შარშან მისმა მეუღლემ შემატყობინა, სექტემბერში წლისთავია და ხომ არ ჩამოხვალო. რა თქმა უნდა ჩავედი, ხალხი რომ დაიშალა და ოჯახში ახლო მეგობრებიღა დავრჩით, რახან დიასახლისი და მისი მეგობრები ექიმები არიან, საუბარმა პოლიტიკიდან მედიცინაზე გადაინაცვლა. რომელიღაც აპარატს ზომაზე მეტად აქებდნენ, ყველას სათითაოდ თავის თავზე გამოუცდია იმ აპარატის ძალა. მეც მირჩიეს მესარგებლა შემთხვევით და ჩამეტარებინა მკურნალობის კურსი, რაც, მათი აზრით, მეტად მარგებდა. ასეთი რა აპარატია, ასე რომ აქებთ-მეთქი, ვიკითხე. თურმე ეს იმ ქალის საჩუქარი ყოფილა, ზემოთ რომ მოგახსენეთ. ჩვენი დიასახლისი და ამერიკაში გადასახლებული ქ-ნი ნატალია ზუბოვა მეგობრები ყოფილან.

იქნებ ჩვენთანაც!...

ბოლო დროს თავს შეუძლოდ ვგრძნობდი. საყოველთაო ქაოსმა, რომელმაც მთელი პლანეტა მოიცვა, საქართველოში შექმნილმა დაძაბულმა ვითარებამ, სტრესებმა, ჩვენებურად გულისხეთქვას რომ ვეძახით, შესამჩნევი დაღი დამასვა და ვიფიქრე იმ აპარატმა იქნებ მეც მიშველოს-მეთქი...

პირველივე პროცედურის შემდეგ თავი ისე კარგად ვიგრძენი, რომ გადავწყვიტე, ბოლომდე ჩამეტარებინა მკურნალობა. ორი კვირის შემდეგ უკვე სულ სხვა კაცი ვიყავი. დამიბრუნდა მოძრაობისა და მოქმედების სურვილი. ერთ დროს სპორტსმენი ვიყავი და კარგად მახსოვს, რა სიამოვნებას გრძნობდა სხეული აქტიური ფიზიკური დატვირთვით. კვლავ გამიჩნდა მოძრაობისა და ვარჯიშის მოთხოვნილება. ვინც მიცნობს, არ დაიჯერებს, რომ ყოველდღე საათ-ნახევარი ფეხით დავდიოდი და მეათე სართულზე დღეში ორჯერ ფეხით ავდიოდი.

სწორედ იმ დღეს, ბოლო პროცედურას რომ მიტარებდნენ, გვერდით ოთახში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა, ქალების აღელვებული ხმები შემომესმა, თურმე ნ. ზუბოვა ჩამოსულიყო და ის აურზაურიც ამიტომ ატეხილა. მეც მიმიწვიეს კაბინეტში და პირველად იქ ვნახე მოსკოვში ჰიუსტონის ფილიალის დასაარსებლად ჩამოსული ქ-ნი ნატალია ზუბოვა.

ნატალია ზუბოვა მთელ საღამოს გვიამბობდა, რომ მკურნალობის მისეული მეთოდი, რომელიც გულისხმობს ორგანიზმის ბიოენერგეტიკული ბალანსის სტაბილიზაციას, ე. ი. დაქვეითებული იმუნიტეტის აღდგენას, თანაბრად ეფექტურია ნებისმიერი დაავადების წინააღმდეგ, თუ რა თქმა უნდა პროცესი არ არის მისული იმ დონემდე, როცა შეუქცევადი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ზუბოვა უაღრესად დამაჯერებლად მსჯელობდა, მე მაინც ფანტასტიკურად მომეჩვენა ნაამბობი, თუმცაღა მეორე დღეს, როცა საშუალება მომეცა დამეთვალიერებინა მსოფლიოს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციები ჰიუსტონის ცენტრის შესახებ, როცა ვნახე ვიდეოფირიც, რომელზეც აღბეჭდილია მისი მეთოდით განკურნებული უიმედო ავადმყოფები, უნდობლობა სავსებით გამიქრა.

საუბარში გამოირკვა, რომ ნატალია ზუბოვა კარგად იცნობს საქართველოს, ყოფილა თბილისში, ჰყავს ქართველი მეგობრები, იცნობს ჩვენს კულტურას, ქართულ კინოს, ლიტერატურას და, საერთოდ, მოსწონს საქართველო და ქართველები.

ეს რომ გავიგე, ვიფიქრე, როგორმე საქართველოში ჩამომეყვანა, რომ ჩვენთანაც დაეარსებინა ჰიუსტონის ცენტრის ფილიალი.

აქ აღარ მოვყვები იმას, თუ როგორ შევძელით მე და ჩემმა მეგობრებმა დაგვერწმუნებინა იგი ჩემი იდეის რეალობაში, მთავარია, რომ დავითანხმეთ თბილისში ჩამოსულიყო, თუ მოვახერხებდი და შევახვედრებდი პრემიერ-მინისტრს ან მთავრობის რომელიმე ავტორიტეტულ წარმომადგენელს. ცოტა დრო ჰქონდა, ორი კვირის შემდეგ იგი ინგლისის ტელევიზიის მიწვევით ლონდონში მიდიოდა, სადაც ლექცია უნდა წაეკითხა XXI საუკუნის მედიცინაზე.

ყველაფერს თავი მივანებე და სასწრაფოდ თბილისში წამოვედი. ოქტომბერი იყო, ყოფილი მთავრობის პრემიერს, ეტყობა, სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა და მირჩია ჯანმრთელობის სამინისტროსთვის მიმემართა. ამან ძალიან დამაღონა, რადგან ტრადიციული მედიცინის სადარაჯოზე მდგომი მინისტრის და ალტერნატიული მედიცინის წარმომადგენლის შეხვედრიდან კარგს არაფერს მოველოდი, არც ქ-ნ ნატალიას მოეწონა მომავალი მოლაპარაკების პერსპექტივა, მაგრამ სიტყვა მაინც არ გატეხა და თბილისში ჩამოვიდა. მოლაპარაკებას მეც ვესწრებოდი და არ შემიძლია არ ვთქვა, რომ მინისტრმა უმალ აუღო ალღო ახალ საქმეს და დიდი ყურადღება გამოიჩინა ჩამოსული სტუმრისადმი.

მოლაპარაკებამ წარმატებით ჩაიარა, ნ. ზუბოვას შეჰპირდნენ ყოველნაირ დახმარებას, შეურჩიეს შენობა ფილიალის გასახსნელად და მოილაპარაკეს ქართველი ექიმების მივლინებაზე ამერიკაში ნ. ზუბოვას მეთოდიკის შესასწავლად.

სამწუხაროდ, დეკემბერ-იანვარში მომხდარმა ამბებმა ხელი შეუშალა ამ პროექტის რეალიზაციას.

14 მაისს რუსეთის ტელევიზიამ გადაცემა მიუძღვნა ნ. ზუბოვას და მისი მკურნალობის მეთოდს. ცნობილმა სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ ეს მეთოდი მყარად ეფუძნება თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს და მკურნალობის დადებითი შედეგი აშკარაა.

მე საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი ამ მეთოდიკის ძალა და მინდა ყველას მიეცეს ამის საშუალება. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და ჯანმრთელობის სამინისტრო დადებითად აფასებენ თბილისში ამერიკის სამედიცინო ცენტრის ფილიალის შექმნის იდეას.

ჯერჯერობით ყველაფერი ისე მიდის, რომ ბოლო კეთილი უნდა იყოს. თუ რაიმე მოულოდნელი დაბრკოლება არ შეგვიშლის ხელს, მალე შეიძლება ჩვენშიც მოეწყოს XXI საუკუნის მედიცინის ერთ-ერთი მოწინავე ცენტრის ფილიალი.

ვალერიან კვაჭაძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ვის ეკუთვნის გაზეთები დასავლეთში?

აქვთ თუ არა დასავლეთში მთავრობის, პარლამენტის, მერიის გაზეთები?

ჩვეულებრივ, მთავრობებს, პარლამენტებს, მერიებს თავთავიანთი პერიოდული პრესა არა აქვთ.

მაგრამ დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში გამოდის ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც ოფიციალური პარტიული ორგანოებია („იუმანიტე“ საფრანგეთის კომპარტიის ორგანოა) ან სულისკვეთებით ამა თუ იმ პარტიასთან ახლოს არიან. მაგალითად, საფრანგეთში გაზეთი „ლიბერასიონი“ ახლოა სოციალისტურ პარტიასთან და რაკილა სოციალისტური პარტია ხელისუფლების სათავეშია, გაზეთიც მხარს უჭერს მის პოლიტიკას.

არაერთ ქვეყანაში ტელევიზია მთავრობას ეკუთვნის, მაგრამ ტელევიზიის ცალკეული არხები სულ უფრო ხშირად გადადის კერძო პირთა ხელში.

დასავლეთში ყოველ მოქალაქეს შეუძლია შექმნას თავისი გაზეთი, თავისი საინფორმაციო სააგენტო, მაგრამ საამისოდ მრავალი მილიონი დოლარი, მარკა, ფრანკია საჭირო. აი რატომ არის, რომ დასავლეთის ქვეყნებში მსხვილ ფინანსისტთა ჯგუფები მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მთელ ქსელს ფლობენ. საფრანგეთში ასეთია ერსანის ჯგუფი. შეერთებულ შტატებში ლიდერობს „განეტ კომპანი“ მონოპოლია, რომელიც 90 გაზეთს ფლობს.

საფრანგეთის მთავარი მასონი — მოსკოვშია

მასონთა ლოჟის „საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთის“ დიდი მაგისტრი ჟან-რობერ რაგაში მოსკოვშია. აქ ის კერძო მოწვევით ჩამოვიდა.

იგი სანქტ-პეტერბურგში ჩასვლასაც აპირებს, ორი წლის წინათ რაგაში მოულოდნელად გამოჩნდა პრაღაში, სადაც მისი პირადი მონაწილეობით მასონთა ლოჟა აღადგინეს. იმავე საზრუნავმა ხომ არ ჩამოიყვანა ის რუსეთში?

პრესისათვის ზრუნვა ყაზახეთში

ყაზახეთის უზენაესი საბჭოს მერვე სესიის მიერ დამტკიცებული 1992 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს ხარჯვის გადიდებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის 750 მილიონი მანეთით და მეტით.

გარდა ამისა რესპუბლიკის პარლამენტმა მხარი დაუჭირა წინადადებას, რომ ჟურნალისტებს 1 დეკემბრიდან 100 პროცენტით გაუდიდდეთ ხელფასი. ჟურნალისტთა პროფკავშირის წევრებს ახლა უფლება აქვთ დამატებით მიიღონ 18 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი და უფასოდ მოახდინონ თავიანთი ბინების პრივატიზაცია.

პარლამენტის გადაწყვეტილებით დამატებული ღირებულების გადასახადი არ გადახდება არც ერთ პოლიგრაფიულ პროდუქციას. ბეჭდვითი სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის სამინისტროს მიზნობრივი დანიშნულებით გამოუყვეს 63,5 მილიონი მანეთი საბავშვო, საყმაწვილო და სასწავლო ლიტერატურის გამოსაცემად უპირატესად ყაზახურ ენაზე.

სადამ ჰუსეინის დამხობის ცდა

სადამ ჰუსეინის რეჟიმისადმი ოპოზიციურმა „ერაყის ეროვნულმა კონგრესმა“ ლონდონში გაავრცელა განცხადება, რომ ამ კვირაში იყო დიქტატორის დამხობის ცდა.

რესპუბლიკის ელიტური გვარდიის მექანიზებული ბრიგადა, რომელსაც გენერალი საბრი მაჰმუდი მეთაურობდა, ბაღდადისაკენ დაიძრა, მაგრამ დედაქალაქის მისადგომებთან შეაჩერეს. გენერალი მაჰმუდი დაიღუპა. მას გზა გადაუღობეს უშიშროების სამსახურის საგანგებო რაზმებმა, რომელთაც სათავეში ედგა ქემალ მუსტაფა, პრეზიდენტის ნათესავი.

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა გადადგომა ითხოვა

ვარშავიდან მიღებული ცნობების თანახმად პოლონეთის პრემიერ-მინისტრი ვალდემარ პავლაკი გადადგა, რადგან ვერ დაძლია წინააღმდეგობანი, რომლებიც პოლონეთის სეიმს თიშავდნენ, რათა ჩამოეყალიბებინათ მთავრობის კაბინეტი.

იგი ამ პოსტზე ერთი თვეც არ ყოფილა და 1989 წლიდან — იმ დღიდან, რაც იქ „სოლიდარობამ“ კომუნისტებისაგან ძალაუფლება მიიღო — პოლონეთის მეოთხე პრემიერ-მინისტრი იყო. გადადგომა მან სეიმს აუწყა მოკლე სიტყვით, რომელშიც შეაჯამა სამთავრობო კოალიციის შექმნის თავისი უნაყოფო ცდები.

ვინ არის ბუდიაფის მკვლელი

ალჟირის მთავრობის საინფორმაციო სააგენტომ დაასახელა კაცი, რომელმაც ხელი აღმართა ალჟირის უზენაესი სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის მოჰამედ ბუდიაფის წინააღმდეგ.

ცნობაში ნათქვამია, რომ ეს იყო შპიონაჟის წინააღმდეგ მებრძოლი ქვედანაყოფის უმცროსი ლეიტენანტი, თუმცა მისი სახელი მაინც არ ახსენეს. ამ ქვედანაყოფს დავალებული ჰქონდა უზრუნველეყო ბუდიაფის უსაფრთხოება რაიონში, რომელიც უშუალოდ ეკვროდა კულტურის სახლს, სადაც ის სიტყვით გამოდიოდა. თავდამსხმელის ბედზე ალჟირის დედაქალაქიდან წინააღმდეგობრივი ცნობები მოდის — ერთნი ამბობენ, რომ დაცვამ მოკლა იგი, მეორენი ამბობენ, დააპატიმრესო.

გაზმა სომხეთამდე ვერ მიაღწია

საქართველოს მარნეულის რაიონში მაგისტრალური გაზსადენის აფეთქებამ იმედი გადაუწურა სომხეთის მცხოვრებთ, რომ როგორც მოელოდნენ, ცისფერ სათბობს ამ კვირაში მიიღებდნენ.

სომხეთის გაზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებაში თქვეს, რომ მერემონტეებს აღსადგენი აქვთ 150 მეტრი გაზსადენი, რასაც სულ ცოტა ოთხი დღე მაინც მოუნდებიან. მდგომარეობას ართულებს ის, რომ აღდგენით სამუშაოებში სომხეთიდან ჩასული მერემონტეები მონაწილეობას ვერ მიიღებენ — საქართველოს მარნეულის რაიონში აზერბაიჯანელი მოსახლეობა ჭარბობს.

„სამიზდატის“ აღსასრული

არსებობა შეწყვიტა „თავისუფლება“ რადიოს ერთ-ერთმა უძველესმა დამხმარე ქვეგანაყოფმა — „სამიზდატის“ განყოფილებამ.

„სამიზდატის“ ვეტერანთა ნაწარმოებები ახლა იბეჭდება არა „ერიკაზე“, რომელიც ოთხ ასლს ამზადებს (ა. გალიჩის ფრაზაა), არამედ ათასობით და მილიონობით ტირაჟით რუსეთში და რუსეთის ახლოს. „სამიზდატის“ წინანდელ ფარულ მკითხველთაგან კი ზოგიერთი — ჟურნალ-გაზეთების ოფიციალური გამომცემელი გახდა.

როგორც ამბობენ...

⊙ **რადიო „თავისუფლება“:** გფრ-ის მთავრობამ მოიწონა ოქმი რუსეთთან თანამშრომლობისა ვოლგისპირეთის გერმანელთა რესპუბლიკის აღდგენის საკითხზე. ამ ოქმს, ალბათ, მომავალ კვირას ხელს მოაწერენ მოსკოვში. გფრ დაეხმარება ვოლგისპირეთის გერმანელთა რესპუბლიკას, სადაც I მილიონი მოსახლე იქნება, ინფრასტრუქტურის, სამრეწველო და სასოფლო საწარმოების მოწყობაში.

რუსეთის შრომისა და დასაქმების მინისტრის მოადგილემ ი. ხალევინსკიმ განაცხადა, მას შემდეგ, რაც გაისად საბოლოოდ მოიხსნება საზღვარგარეთ გამგზავრების შეზღუდვები, რუსეთიდან ემიგრაციაში წავა, ალბათ, ნახევარ მილიონამდე კაცი.

⊙ **რადიო „გერმანიის ტალღა“:** იმასთან დაკავშირებით, რომ აშშ-მა ადრიატიკის ზღვაში გაგზავნა თავისი მეექვსე ფლოტის ესკადრა, გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს სამხედრო ოპერაცია ყოფილ იუგოსლავიაში. ბელგრადის სააგენტო „ტანიუგის“ აზრით ამერიკელები ინტერვენციის საბაბს ეძებენ.

ამერიკული ინფორმაციის თანახმად თეირანში მთავრობა ვარაუდით 1988 წლიდან მნიშვნელოვანი მოცულობით ბეჭდავს აშშ ყალბ დოლარებს, რათა შეამციროს ირანის ვალი უცხოეთისადმი. ყალბი ბანკნოტების ბეჭდვის ოპერაცია, ამერიკის კონგრესის მუშა ჯგუფის წარმომადგენლის თქმით, სამხედრო მოქმედებას უტოლდება.

კარიკატურისტის კომენტარი



ყოველკვირეული „ნოვოე ვრემია“.

ჩვენს მკითხველებს!

გამოიწერეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ძვირფასო მკითხველო!
ამ ბოლო ხანს კატასტროფულად გაზრდილი სასტამბო-საგამომცემლო ხარჯები, სამწუხაროდ, გვაიძულებს, რომ შარშან ოც კაპიკობაზე გამოწერილი ჩვენი გაზეთი ხელმომწერებს 1 აგვისტოდან ველარ მოგაწოდოთ. ამიტომ დიდი ბოდიშის მოხდით და გულრწფელი თხოვნით მოგმართავთ, რომ სწორად გაგვიგოთ და ვისაც გსურთ 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე კვლავ მიიღოთ ჩვენი გაზეთი, 21 ივლისამდე გააფორმოთ ახალი ხელმოწერა.

წლის დამლევამდე ხელმოწერის ფასი 110 მანეთია. ხელმომწერებს გაზეთის ეგზემპლარი 1 მანეთი დაგიჯდებათ, ჯიხურში კი ფასი 2 მანეთი იქნება. ხელმოწერით ჩვენი გაზეთი ყველაზე იაფი გამოცემაა. თანადგომისათვის წინასწარ გიხდით მადლობას.

იჩქარეთ!

ჩვენი ინდექსია:
64424

საერთაშორისო პლენერი

ხელოვნების ენა ყველას ესმის

ბავარიის ქალაქ ინგოლშტატში მთელ თვეს გრძელდებოდა საერთაშორისო პლენერი, რომელშიც ქუთაისელი მხატვრებიც მონაწილეობდნენ. ქართველ მხატვრებს ჭეირან ფაჩუაშვილს, ჯავა შეიშვილს, ვახტანგ ჯაყელს საშუალება ჰქონდათ ახლოს გასცნობოდნენ გერმანიის ამ უმშვენიერეს მხარეს, მის ქალაქებსა და ადამიანებს. მათ დაათვალიერეს გაბრიელა მინსტის, ვასილ კანდინსკისა და ფრანს მარკის სახელებთან დაკავშირებული ადგილები. იყვნენ რამდენიმე კერძო გალერეაში, გაეცნენ საგამომცემლო და საბანკო საქმიანობას, ურომლისოდაც ხელოვნის, კერძოდ მხატვრის წარმატებებზე ლაპარაკი დასავლეთში წარმოუდგენელია.

ბავარიაში მიღებული მდიდარი შთაბეჭდილებები საფუძვლად დაედო აქ შექმნილ ფერწერულ ნაწარმოებებს, რომელთაგან რამდენიმე საჩუქრად გადაეცა პლენერის ერთ-ერთ ორგანიზატორსა და დამფინანსებელს — ქალაქ ინგოლშტატის მერიას.

— რა თქმა უნდა, განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირებს, — თქვა ინგოლშტატის ხელოვნების ცენტრის თავმჯდომარემ რენე ვასმუტ-პოლაიმ, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანებს, კერძოდ შემოქმედთა შორის მეგობრობა. ამის საუკეთესო მაგალითია ჩემი მეუღლის, გერდა ვასმუტ-პოლაისა და ქართველი მხატვრების მეგობრობა, რომელმაც შესაძლებელი გახადა ამ პლენერის მოწყობა, სასიამოვნოა, რომ ქართველ მხატვრებს აქ საშუალება ჰქონდათ შეხვედროდნენ თავიანთ უცხოელ კოლეგებს, მათ შემოქმედებას. კიდევ ერთხელ ვგრძნოთ, რომ ხელოვნება ის ენაა, რომელზე ლაპარაკიც ყველას შეუძლია თავისი ეროვნების თუ პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად.

ცივილიზებული მსოფლიო კვლავ და კვლავ გვაჩვენებს საჩინო მაგალითს იმისას, რომ მხოლოდ მშვენიერება იხსნის კაცობრიობას. სამწუხაროა, რომ ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი აუხსნელი სიჯიუტით უარყოფს ამ ჭეშმარიტებას.

სურათებზე: ქუთაისელი მხატვრები იტალიელ მოქანდაკეებთან ერთად. შუაში ინგოლშტატის ხელოვნების ცენტრის თავმჯდომარე რენე ვასმუტ-პოლაი; ჯავა შეიშვილი და ვახტანგ ჯაყელი — ბოლო შტრიხი.

ტექსტი და ფოტო მაკა კილაძისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

იქნება ფეხბურთი, იქნება გულშემატკივარი

საქართველო უპირველეს ყოვლისა!



გასრულდა საქართველოს მესამე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელმაც სპეციალისტებსა თუ გულშემატკივრებს როგორც იმედი, ასევე არაერთი საფიქრალი გაუჩინა. თუმცა, სანამ ქართული ფეხბურთის წინაშე დღესდღეობით წამოჭრილ პრობლემებზე ვისაუბრებდე, პირველ ყოვლისა, მინდა მივულოცო ყველა გულშემატკივარს საერთაშორისო აღიარება — ევროპის საკლუბო ტურნირების წლევანდელ გათამაშებაში ხომ „ლივერპულთან“, „მილანთან“, „ბარსელონასთან“ ერთად თბილისის „იბერია“ (ანუ „დინამო“), სოხუმის „ცხუმი“ და რუსთავის „გორდაც“ გამოვლენ.

დიახ, აღსრულდა ის, რასაც ყველანი ასე მოუთმენლად ველოდით — ამაში კი, უდავოდ, უდიდესი დამსახურება მიუძღვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ბატონ ნოდარ ახალკაცის მეთაურობით, ვისი მეშვეობითაც ამ სამწლიანი „ინტენსიური ბრძოლით“ ფიფას მესვეურებს ბევრი საკითხი ჩვენდა სასიკეთოდ გადააწყვეტინეს.

აქვე, ალბათ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს კვლავ ძველებურად უყვარს ფეხბურთი და ძალზე სასიამოვნოა, რომ ამდენი პრობლემისა თუ შინაურ-გარეული მტრების სიმრავლის მიუხედავად, სიტყვითა და საქმით ამტკიცებს კიდეც ამას...

• • •

მესამე ჩემპიონატი, ისევე, როგორც თასის გათამაშება, თბილისის „იბერიის“ ღირსეული და სრულიად დამსახურებული გამარჯვებით დაგვირგვინდა. თერთმეტქულიანი სხვაობა მასსა და უახლოეს მდევარს შორის ნათლად მოწმობს მის უპირატესობას. კეთილმოწყობილი ბაზა, სწორად არჩეული წვრთნის პროცესი და, რაღა თქმა უნდა, ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელების სიმრავლე — აი, ის ძირითადი კომპონენტები, რომლებითაც ისინი გამოირჩევიან. გასაკვირი ამიტომაც აღარავისთვის უნდა იყოს, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ერთდროულად 10 (!) ამ გუნდის წევრია: მეკარე ნიკა ჩხეიძე; მცველები — მალხაზ არზიანი, გოჩა ჩიქოვანი, დიმიტრი კუდინოვი, მურთაზ შელია; ნახევარმცველები — ზაზა რევიშვილი, რეზო არველაძე; თავდამსხმელები — კახი კაჭარავა, მიხეილ ყაველაშვილი და შოთა არველაძე, ყველა მათგანი ქების ღირსია, თუმცა განსაკუთრებით მინდა გამოვყო მურთაზ შელიასა და შოთა არველაძის აშკარა პროგრესი და მესამე ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის (ჩემი აზრით) მიხეილ ყაველაშვილის საუცხოო თამაში.

გუნდის წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს აგრეთვე გია ქველაძემ, ვაჟა ჟვანიამ, არჩილ არველაძემ და სრულიად ახალგაზრდა, 17-18 წლის ასაკის ფეხბურთელთა დიდმა ჯგუფმა, „დინამოს“ ხვალინდელმა თაობამ.

გულშემატკივარი შეამჩნევდა, რომ ეროვნული ნაკრების კანდიდატთა სიაში არ არიან რესპუბლიკის საუკეთესო ნახევარმცველთაგანნი გელა ინალიშვილი და გოჩა ჯამარაული.

ეს ფაქტი მარტო ამ სტრიქონების ავტორის გაკვირვებას არ იწვევს. ჩემთვის და, ალბათ, ბევრისთვის გაუგებარი დარჩა, თუ რატომ არ არის ნაკრების წევრთა შორის „გორდას“ არც ერთი ფეხბურთელი. სამი მათგანი — გია ფირცხალავა, როსტომ თორღაშვილი და გია კილასონია ამას ნამდვილად იმსახურებენ, ისევე როგორც ზუგდიდის „ოდიშის“ ფორვარდი მელორ ბიგვავა. ან, როგორ დავიჯერო, ნაკრების ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი დარჩა ქართული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავის (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) 18 წლის გიორგი ქინქლაძის („მრეტები“) თამაში? გია გურულთან, თემურ ქეცბაიასთან და კახი ცხადაძესთან ერთად რატომ არ არიან ნაკრების შემადგენლობაში სხვა ქართველი „უცხოელებიც“ — გია ჯიშკარიანი, სოსო ჭედია, დავით ცომაია, გოჩა ტყებუჩავა, დავით მახარაძე, გოჩა გოგრიჭიანი, ომარ თეთრაძე, ბადრი სპანდერაშვილი და სხვები? ნაკრებში ყველა დამსახურებულადაა შეყვანილი, მაგრამ, რაც მეტი არჩევანი ექნებათ ნაკრების მესვეურთ, საბოლოო შედეგიც, ვფიქრობთ, უკეთესი იქნება.

• • •

ახლა კი ისევ გათამაშების ცხრილს დავუბრუნდეთ. ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ „ცხუმიცა“ და „გორდაც“ ღირსეულად იკავებს მაღალ საფეხურებს. ეს პირველ ყოვლისა, მათი მთავარი მწვრთნელების ნუგზარ ბოჭგუასა და გივი ნოდიას იდეების ხორცშესხმაა.

„ცხუმი“ თამაშის განსაკუთრებული ხელწერით გამოირჩევა, რასაც დიდად უწყობს ხელს წამყვანი ფეხბურთელების — მიხეილ ჯიშკარიანის, იური გაბისკირიას, სოსო მალანიას, გრიგოლ ცააავას, გიორგი გოგიაშვილისა და სხვათა ოსტატობა. მათ გვერდით წარმატებით გამოდიან იმედისმომცემი ახალგაზრდა ფეხბურთელებიც.

„ცხუმზე“ საუბრისას ალბათ, ცალკე უნდა გამოიყოს მიხეილ ჯიშკარიანი, უაღრესად ტექნიკური და შედეგიანი ფორვარდი, რომლის შეძენაზეც ბევრი უცხოური კლუბი არ იტყოდა უარს. ამჟამად „ცხუმიც“ და „გორდაც“ ევროპის საკლუბო ტურნირებისათვის ემზადებიან და, იმედია, ამ მაღალი რანგის ასპარეზობებზეც გამოიჩენენ თავს.

„გორდა“, „ცხუმისგან“ განსხვავებით, უფრო კოლექტიურ თამაშს ამჯობინებს და ამიტომაც გასაგებია, რომ გუნდში უძლიერესია ნახევარდაცვის ხაზი. ზემოთ ნახსენები ნაკრების სამი კანდიდატის (ჩემი აზრით, რა თქმა უნდა) გარდა, „გორდას“ შემადგენლობაში საუკეთესონი იყვნენ მეკარე მამუკა ქორიძე და თავდამსხმელი ვასილ მიქაშავიძე. ამასთან, იმედია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დისკვალიფიკაციას მოუხსნის მამუკა ფანცულაიას, რომელიც ასე საჭირო იქნება უეფას თასის თამაშებზე. რახან ევროპის საკლუბო ტურნირები ვახსენეთ, უნდა ითქვას, რომ რუსთავში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის იმ განცხადებას, რომ სტადიონის კეთილმოუწყობლობის გამო შეიძლება „გორდა“ სხვა გუნდით შეცვალონ.

თუმცა, ეს განცხადება უფრო ისეთი „დაშინება“ იყო, რომელიც საქმეს დააჩქარებდა. და სწორედ ასეც არის. ამჟამად რუსთავის „ფოლადის“ სტადიონზე სხვადასხვა სახის სამუშაოებია დაწყებული, რომელშიც ქალაქის საწარმო-დაწესებულებები მონაწილეობენ და რომლის კოორდინირებასაც უშუალოდ ქალაქის გამგეობა ახდენს.

ლანჩხუთის „გურიის“ მიერ დაკავებული მეოთხე ადგილი ბევრს წარუმატებლობად მიაჩნია, მაგრამ, ვფიქრობ, ეს გუნდის მაქსიმუმი იყო. მეორე წრის დასაწყისისთვის „გურიას“, ფაქტობრივად მოსამზადებელი პერიოდი არც გაუვლია გასაგები მიზეზების გამო (მათი ბაზა გრიგოლეთში მდებარეობს), ამას ტრავმირებული ფეხბურთელების სიმრავლეც დაემატა და ახალგაზრდა მწვრთნელების — გია იმნაძისა და თემურ ჩხაიძის ხელმძღვანელობით გუნდმა ურიგოდ ნამდვილად არ ითამაშა. საუკეთესონი კი მათ შემადგენლობაში ვეტერანი ოთარ კორღალიძე და ახალგაზრდა, ამასთან, უკვე საკმაოდ გამოცდილი გიორგი ნემსაძე იყვნენ. ოთარ კორღალიძემ შესაშური შედეგიანობა (განსაკუთრებით ბოლო მატჩებში) გამოიჩინა და მის მიერ გატანილი 40 ბურთი, ალბათ, ევროპაშიც საუკეთესოა მიმდინარე სეზონში.

ქების სიტყვებით მინდა მოვიხსენიო ფოთის „კოლხეთი-1913“ და ზუგდიდის „ოდიში“, რომლებმაც გართულებული პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად ყველა ღონე იხმარეს, რომ არ გაეწბილებინათ ერთგული გულშემატკივრები. არადა, სხვა პრობლემებთან ერთად, მეორე წრეში „კოლხეთი-1913“-ს, ხშირ შემთხვევაში, არაერთი ტრავმირებული ფეხბურთელი აკლდა, ხოლო „ოდიშის“ რიგებიდან კი საკმაოდ ბევრი მოთამაშე წავიდა (რომელთაგან ყველაზე დიდი დანაკლისი დავით ყიზილაშვილი იყო) და ბოლო თამაშებში გუნდის ლიდერის მელორ ბიგვავას გვერდით სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოდიოდნენ. ვფიქრობ, ერთობ საპატიო მეშვიდე ადგილი გალის „მზიურისათვის“, ამ მართლაცდა საფეხბურთო ქალაქის საყვარელი გუნდისათვის, რომელთა რიგებში სხვებთან ერთად (გიორგი მაკასარაშვილი, კობა ხარჩილავა, მალხაზ მორგოშია) არ შეიძლება არ აღინიშნოს 38 წლის ალკაზ ქანთარიას კარგი თამაში.

უკმაყოფილონი, ალბათ, არც ზესტაფონელი გულშემატკივრები იქნებიან — „მარგვეთმა“ სატურნირო ცხრილში ბევრ გუნდს გაუსწრო და ეს, უდავოდ, მთავარი მწვრთნელის, ჯონი ჯანელიძის დამსახურებაა და თანაც კლუბის ხელმძღვანელობა სამომავლოდ უფრო უკეთეს შედეგსაც ელოდება.

სამწუხაროდ, და, ალბათ, ბევრისათვის მოულოდნელად, უჩვეულო ადგილას იმყოფებიან ისეთი მდიდარი ტრადიციის მქონე გუნდები, როგორებიც „ბათუმი“ და „ქუთაისია“.

* * *

ახლა კი აუტსაიდერებზე. სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხური პირველი წრის დასაწყისიდანვე მტკიცედ დაისაკუთრა ოზურგეთის „მერცხალმა“, მასთან ერთად უმაღლესი ჯგუფი დატოვა ვანის „სულორმაც“.

სამწუხაროდ, და ჩვენი ფეხბურთის საუბედუროდ, მესამე ეროვნულ ჩემპიონატში (განსაკუთრებით ფინიშზე) ერთობ მომრავლდა უცნაური მატჩები უცნაური შედეგებით. ზოგიერთი შეხვედრის შედეგის კი არა, ანგარიშის გამოცნობაც შეიძლებოდა წინასწარ. რა თქმა უნდა, ძალზე რთულია იმის დამტკიცება, რომ ესა თუ ის მატჩი „ჩაწყობილი“ იყო, მაგრამ ხშირად ეს საკმაოდ შეუნიღბავად კეთდებოდა...

არავინ მალავდა, რომ ზოგიერთმა გუნდმა უმაღლეს ჯგუფში ადგილის შენარჩუნებისათვის ქულები „ისესხა“. ვალს გასტუმრება უნდა და გასტუმრებენ კიდეც მომავალ სეზონში. როგორ? ისევ „ისესხებს“... ოღონდ, სხვა გუნდებისგან? ასე იკვრება ერთობ დიდი რადიუსის მქონე უცნაური წრე...

არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი, რომელმაც არანაკლებ იმძლავრა ჩვენს სტადიონებზე. საქმე ეხება ზოგიერთი მაყურებლის (მას გულშემატკივარი არ შეიძლება ერქვას) არანორმალურ საქციელს სტუმართა გუნდისა თუ, განსაკუთრებით, მსაჯების მიმართ. ნუთუ ქართველმა გულშემატკივარმა ობიექტურობის გრძნობა დაკარგა? ან, როგორ უნდა გაიმეტო მოსაკლავად (!) მსაჯი, რომელმაც, დავუშვათ, თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა ან „თამაშგარე მდგომარეობა“ დააფიქსირა საეჭვო სიტუაციაში?

* * *

და მაინც: ყველაფრის მიუხედავად დამტკიცდა, რომ ქართული ფეხბურთი სწორი გზით მიდის. სულ რაღაც თვენახევარში საქართველოს სამი გუნდი ევროპის სარბიელზე გავა, საქართველოს ნაკრებსაც ალბათ მალე მნიშვნელოვანი მატჩები ელოდება, მაშ, დავირაზმოთ ყველა და ყველამ ჩვენ-ჩვენი საქმე კეთილსინდისიერად ვაკეთოთ — მსაჯმაც, ფეხბურთელმაც, მწვრთნელმაც, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც და, ალბათ, ჩვენც, ჟურნალისტებმაც. აი, მაშინ კი იქნება ფეხბურთიც და იქნება გულშემატკივარიც.

გია ტუჩაშვილი,
გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ სპორტული მიმომხილველი.

ჩოგბანი

⊙ ჩოგბურთი

უიმბლდონის წლევანდელი ტურნირის გამარჯვებული გახდა ამერიკელი ანდრე აგასი, რომელმაც ფინალში დაამარცხა ხორვატიელი გორან ივანიშევიჩი 6:7, 6:4, 1:6, 6:4. ფინალში მონაწილეობის წყალობით ორივე სპორტსმენმა საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა მსოფლიო კლასიფიკაციაში. ივანიშევიჩმა მერვე ადგილიდან მეოთხეზე გადაინაცვლა, ხოლო აგასი მეთორმეტე ადგილიდან კვლავ დაბრუნდა უძლიერესთა ათეულში.

ქალთა ასპარეზობაში უკვე მეოთხედ გაიმარჯვა გერმანელმა შტეფი გრაფმა. ფინალში მან სძლია მსოფლიოს პირველ ჩოგანს, იუგოსლავიელ მონიკა სელეშს — 6:2, 6:1. უიმბლდონის ტურნირის საპრიზო ფონდი შეადგენდა 8 მილიონ 200 ათას დოლარს.

⊙ სპორტული ფესტივალი

სანქტ-პეტერბურგში მიმდინარეობს მოზარდთა საერთაშორისო სპორტული ფესტივალი. ჯერ იყო და მოჭადრაკეთა ტურნირის გუნდურ ჩათვლაში თბილისელმა სპორტსმენებმა მესამე ადგილი დაიკავეს. პირად ასპარეზობაში თავი ისახელეს გოგონათა შორის ინგა ხურცილავამ, ჭაბუკებში გიორგი ყაჭეიშვილმა, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს.

ბრწყინვალედ იასპარეზეს ნორჩმა ფეხბურთელებმა და აღნიშნულ ტურნირში გაიმარჯვეს.

გამოსათხოვარი

ჰამლეტ გაგუა



გარდაიცვალა სახელმწიფო კონცერნის „საქნავთობპროდუქტის“ მთავარი ბუღალტერი, დამსახურებული ეკონომისტი, შრომის ვეტერანი ჰამლეტ მალხაზის ძე გაგუა.

ჰამლეტ გაგუა დაიბადა 1931 წელს ქ. თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის საარტილერიო სასწავლებელში, მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1967 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკის ფაკულტეტი და თავისი სპეციალობით სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა.

1979 წლიდან ჰამლეტ გაგუა დღემდე პირნათლად ემსახურებოდა ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეს „საქნავთობპროდუქტში“ ჯერ უფროსი ბუღალტრისა და რევიზორის, ხოლო 1980 წლიდან მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე. იგი იყო გულისხმიერი ადამიანი, შესანიშნავი მეგობარი, კვალიფიციური მუშაკი.

ჰამლეტ გაგუას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგების და მეგობრების ხსოვნაში.

საქართველოს რესპუბლიკის ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კონცერნი.

ტელევიზია

ნამდვილი საბავშვო დღესასწაული

ახლახან საქართველოს ტელევიზიით ვიხილეთ ტელემარათონი „ქართული ესტრადის ოსტატები ავადმყოფ და ინვალიდ ბავშვთა დასახმარებლად“. ამ მარათონს, ჩემი აზრით, გულგრილი არავინ დაუტოვებია — არც ბავშვი და არც უფროსი, ვინაიდან ეს იყო ნამდვილი დღესასწაული, რომელიც თურმე ასე მოგვენატრებია და რომელმაც სიხარული მოუტანა როგორც დარბაზში დამსწრე საზოგადოებას, ასევე ტელემაყურებლებს და, რაც მთავარია, იმ უამრავ ბავშვს, სცენაზე ისე ლაღად რომ გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ სახლში.

ამ მარათონმა პირადად მე უდიდესი სიამოვნება მიმანიჭა, რასაც ბოლო წლებში, სამწუხაროდ, მოკლებულნი ვიყავით. მოკლებულნი ვიყავით არა მარტო გულწრფელ მზრუნველობას და ყურადღებას ავადმყოფი და გაჭირვებული ბავშვების, არამედ საერთოდ, ჩვენი მომავლის, განსაკუთრებით კი ნიჭიერი ბავშვების მიმართ. მე არ ვიცი, სად იყო ამდენი ლამაზი, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი, რომლებიც პირველად ამ საღამოს ვიხილეთ? ისინიც კი, ვინც დარბაზიდან იყო სცენაზე ასული, ისე ლაღად გრძნობდნენ თავს, ისე დახვეწილად და, ამავე დროს, ბავშვური უშუალობით მოძრაობდნენ და მღეროდნენ, რომ აშკარაა, ეს მათთვის ბუნებრივი გარემო იყო. არ შემიძლია აქვე არ მოვიხსენიო ამ საღამოს ინიციატორი და სულისჩამდგმელი ირმა სოხაძე, რომლის უზომო სიყვარული და სითბო ბავშვებისადმი აშკარად ჩანდა მათდამი დამოკიდებულებაში. ირმა მთელი საღამოს განმავლობაში იყო შინაგანად აქტიური და გარეგნულად ზომიერად მშვიდი, დროულად ახალისებდა ბავშვებს. ამგვარი ურთიერთობა ხელს უწყობს ბავშვთა შემოქმედებითი უნარის განვითარებას, რასაც ამჟამად, სამწუხაროდ, ნაკლებად ექცევა ყურადღება.

აქვე მინდა კიდევ ორიოდე სიტყვა ვთქვა ტელემარათონის მონაწილეებსა და წამყვანებზე, რაც მეტად მნიშვნელოვნად მეჩვენება: მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა მაია დათუნაშვილმა, რომლის თავდაჭერილი მანერა უთუოდ მაყურებლის სიმპათიას იმსახურებს. გაახალისა საღამო ბავშვების საყვარელმა „ორმა ჯუჯამ“. მარათონის ყველა მონაწილემ გულით და სულით, მაღალპროფესიულ დონეზე შეასრულა თავისი მისია. ძალიან მინდა, რომ ეს გადაცემა, თუნდაც ორ ნაწილად გაყოფილი, განმეორდეს ტელევიზიით.

თამარ გვერდწითელი,
საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, სკოლამდელი აღზრდის ოსტატი.

* * *

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ ავადმყოფ და ინვალიდ ბავშვთა დახმარების საზოგადოება „იმედის“ ანგარიშზე.

რეპლიკა

კომერციას შევწიროთ?

ბოლო ხანს თბილისის ქუჩებში და მოედნებზე მასობრივი ხასიათი მიიღო მცირე ფორმის სავაჭრო ჯიხურების უსისტემო განლაგებამ, რამაც თბილისის მერიის მოვალეობის შემსრულებლის ოთარ ლითანიშვილის ყურადღებაც მიიპყრო. მან გამოსცა ბრძანება, რომლის საფუძველზე მცირე ფორმის არქიტექტურული ნაგებობების, პავილიონების, სარდაფში ჩასასვლელების მოწყობის ნებართვის გაცემა და მათი განთავსების წესის შემუშავება მერიის კეთილმოწყობის სამმართველოს დაევალა.

მაგრამ ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესრულებისთვის მზრუნველობა დაივიწყეს. ამით ბოროტად სარგებლობენ ნაკლები შრომითი დანახარჯებით დიდი სარფის მიღების მოყვარულნი და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე წამოჭიმონ მინი სავაჭროები.

მაგალითად, ნავთლუღის, ქ. ჩოლოყაშვილის და ბ. ხმელნიცკის ქუჩებში, ს. დოდაშვილის, დ. გულიას სახელობის მოედნებზე და სხვაგან წლეულს მაისსა და ივნისში 80-მდე არყის, კონიაკისა და ლუდის სარეალიზაციო პუნქტები აავეს. ეს იმ დროს, როცა ბავშვთა დასვენება-გართობისთვის აქ არც ერთი დაწესებულება არ არის, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ირაკლი ხვედელიძე,
ვანი ხარაზიშვილი,
ომისა და შრომის ვეტერანები.

რეკლამა ● განცხადება რეკლამა ● განცხადება რეკლამა ● განცხადება

დეპორტირებულ მესხთა პრობლემების შემსწავლელი კომისია იწვევს აზრთა გაზიარებისათვის სხვადასხვა დაინტერესებულ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს.
ჩვენი მისამართია: სახელმწიფო საბჭო. IV სართული, ოთახი 12, ტელეფონი: 99-81-59.

თბილისის კომერციული სამედიცინო ინსტიტუტი
„სხივი“
აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის

სამედიცინო ფაკულტეტი
(სამკურნალო საქმე, პედიატრია) — 50 ადგილი.
საბუთების მიღება იწარმოებს 15 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა) 11-დან 14 საათამდე.
მისაღები გამოცდები ჩატარდება 3 საგანში (ყველა საგანში ტესტირებულია): ბიოლოგია, ქიმია, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული).
გამოცდები ჩატარდება 3-10 აგვისტოს.
გამოცდების ცხრილს აბიტურიენტები გაეცნობიან საბუთების ჩაბარებისას.
აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება (ფორმის მიხედვით), საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი) ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის დამთავრების დიპლომი (დედანი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

გამოცდების ხარჯების ანაზღაურების მიზნით თითოეულმა აბიტურიენტმა „სხივის“ სალაროში უნდა შეიტანოს 387 მანეთი.
ღია კარის დღე ჩატარდება 1992 წლის 11 ივლისს 12 საათზე: ქავთარაძის ქ. 16, საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს №2 საავადმყოფო - პოლიკლინიკის საკონფერენციო დარბაზი (პირველი სართული). სწავლების გადასახადია 35 000 მანეთი ყოველ კურსზე (თანხამ შეიძლება ცვლილება განიცადოს ინფლაციასთან დაკავშირებით). სწავლების გადასახადი (პირველი კურსის) სტუდენტებმა უნდა შეიტანონ ბანკში ამა წლის 31 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.

„სხივის“ მისამართია:
380089, თბილისი, ქავთარაძის ქ. 16.

აბიტურიენტთა და მათ მშობელთა საყურადღებოდ!

საქართველოს კერძო საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ალექსანდრე კუპუხიძე, პრორექტორები პროფესორი ევგენ ბარათაშვილი და დოცენტი თეიმურაზ ბაბუნაშვილი, ინსტიტუტის რექტორატის მრჩეველი მათემატიკის სწავლების დარგში, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დაჩმირ შულაია, რექტორატის მრჩეველი საზოგადოებათმცოდნეობის საგანთა სწავლების დარგში, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გრიგოლ თოდუა, ინსტიტუტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ილია ტაბაღუა, ინსტიტუტის დეკანი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ვახტანგ კალანდარიშვილი, ინსტიტუტის დეკანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნოდარ ბორდზიანი 1992 წლის 11 ივლისს 12 საათზე ინსტიტუტის სააქტო დარბაზში აწყობენ აბიტურიენტებთან და მათ მშობლებთან შეხვედრას — ღია კარის დღეს.

მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, დიღმის მასივი, მესამე კვარტალი, № 147-ე სკოლის შენობა.

რექტორატი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 93-32-29; წერილების განყოფილება 93-70-26.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

[illegible]

ინდექსი 64424